ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 30 იანვარი 1996 № 8 (233) ფასი 40 თეთრი



## აშვეთია „სპარტაკსაც" მოუნდა

მამუკა კვარაცხელიამ მოსკოვიდან გვაცნობა, რომ იქაური „სპარტაკის" წარმომადგენლები შეხვდნენ რუსეთის დედაქალაქში მყოფ ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელს რეზო ბურკაძეს. საუბრის თემა ერთი ყოფილა: მიხეილ აშვეთიას მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლა. მოსალოდნელია, რომ კლუბის პრეზიდენტი ოლეგ რომანცევი თებერვლის დასაწყისში დაბრუნდება ისრაელიდან და ქართველ თავდამსხმელსაც მაშინ მოელაპარაკება. აშვეთიას გადაბირება პორტუგალიის „ფარენსესაც" სურს და მას მაისში ელოდება.

## ჯამარაული თოვლმა შეაფერხა

ბრიტანეთში არნახული დიდთოვლობის გამო ინგლისს მიმავალი გოჩა ჯამარაული მოსკოვში გაიჩხირა. მას დაკავშირებია „ქოვენთრი სიტის" წარმომადგენელი და უთქვამს, თოვლის გამო ჩვენი სათასო მატჩი „მანჩესტერ სიტისთან" გადაიდო და ვარჯიშებსაც დარბაზშიღა ვახერხებთო. მოსალოდნელია, რომ გოჩა ქოვენთრიში ამ კვირის ბოლოს ჩავა. არაა გამორიცხული, დღეს ჯამარაულმა მინსკის „დინამოს" წინააღმდეგ თბილისის „დინამოში" ითამაშოს.

## «დინამო» მეოთხედფინალში გავიდა

### სადაც დღეს მინსკის „დინამოს" შეხვდება

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მამუკა კვარაცხელიამ გუშინ საღამოს შეგვატყობინა, რომ ესენგეს ჩემპიონთა თასის წინსწარი ეტაპის ბოლო მატჩში საქართველოს ჩემპიონმა 3:0 მოუგო განჯის „ქიაფაზს", ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და დღეს, ჩვენი დროით ხუთის ნახევარზე მეოთხედფინალში ბელარუსის ჩემპიონს შეხვდება. მინსკელებმა გუშინ 3:2 სძლიეს კიევის „დინამო". ჩვენს ჯგუფში კი პირველი ადგილი დაიკავა ვილნიუსის „ჟალგირისმა", რომელმაც გუშინ დუშანბეს „პამირს" 5:2 მოუგო და პირადი მოგების წყალობით გაგვისწრო.

**დინამო 3:0 ქიაფაზი**

დინამო: ზოიძე, კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (კალაძე 81), იაშვილი (კერძევაძე 71), ცქიტიშვილი (ხომერიკი 78), ყიზილაშვილი, ანჩაბაძე (მუჯირი 78)

ქიაფაზი: სადიხოვი, ალაჰვერდიევი (ვაჯიევი 46), დ. აჰმედოვი, თ. მამედოვი, ჯაბაროვი, პარვაროვი, რზაევი, ა. მამედოვი (დანიბეგაშვილი 46; გულაიმი 55), ტანვერდიევი, რ. აჰმედოვი, სულეიმანოვი (პაპიძე 65)

1:0 იაშვილი (10), 2:0 კერძევაძე (76), 3:0 გოგიჩაიშვილი (80)

გაფრთხილება: კობიაშვილი, კერძევაძე

რეპორტაჟი მოსკოვიდან იხილეთ მეორე გვერდზე

## წმინდაშვილი პირველია რევაზიშვილი – მეორე

Atlanta 1996

კვირას მოსკოვში დასრულდა უმაღლესი, „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიების მოსაპოვებელი ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ. ტურნირის დამთავრებისთანავე მოსკოვში ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ანზორ მარტყოფლიშვილს, რომელმაც გვაცნობა:

„მოსკოვში, დებულების თანახმად, შვიდი ძიუდოისტის გამოყვანის უფლება გვქონდა. ოლიმპიადის ლიცენზიები მოპოვებული გვაქვს 60, 78 და მძიმე წონით კატეგორიებში, ამიტომ ამ წონებში მონაწილეები არ გამოვიყვანეთ. ჩვენებიდან ყველაზე კარგად გიორგი წმინდაშვილმა (86 კგ.) იჭიდავა. მან ოთხი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო, ფინალი – იუკოთი და ჩემპიონი გახდა.

მეორე ადგილი დაიკავა გიორგი რევაზიშვილმა (65 კგ.) მან ოთხი შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ფინალში დამარცხდა რუს მსოფლიო ჩემპიონ ოჟეგინთან. ამით წმინდაშვილმა და რევაზიშვილმა მეტად საჭირო „სალიცენზიო ქულები" დაირიცხეს.

ჩვენს დანარჩენ ფალავნებს ხელი მოეცარათ. 71 კგ-ში ორი მონაწილე გვყავდა, ლევან სულხანიშვილმა პირველივე შეხვედრა წააგო, შემდეგ დამამშვიდებელ წრეში ჭიდაობის საშუალება მიეცა, მაგრამ იქაც დამარცხდა. ჯონდო მუზაშვილმა პირველი შერკინება მოიგო, მეორე – წააგო და ბრძოლას გამოეთიშა.

86 კგ-ში წმინდაშვილთან ერთად ამ წონაში ჩვენი ლიდერი ივერი ჯიქურაული ასპარეზობდა. სამწუხაროდ მან მხოლოდ 7-8 ადგილები გაიყო.

95 კგ-ში მევლუდ ლობჟანიძე პირველსავე წრეში დამარცხდა. სამაგიეროდ, გია გუგავამ პირველი დაბრკოლება კარგად დასძლია, მაგრამ მეორე შეხვედრის დაწყებისთანავე მხარი ამოუვარდა და ვერც იმ შერკინების გაგრძელება შესძლო და ვერც ტურნირისა".

## «ცბიერი მელას» აღსასრული



ოლიმპიური ჩემპიონები ყოველდღე არ კვდებიან. მით უმეტეს, მათ ყოველდღე არ კლავენ. ამღენად, 1996 წლის 27 იანვარი სამუდამოდ შევა სპორტის ისტორიაში.

ამ დღეს თავისი მეგობრის იარიღიდან ნასროლი ტყვიით განიგმირა 36 წლის შესანიშნავი ამერიკელი მოჭიდავე, მსოფლიოსა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი დეივ შულცი, იგივე „ცბიერი მელა".

მკვლელი კი ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი კლანის – დიუპონების ჯიშისაა. ამ დიუპონს თავის უზარმაზარ კარ-მიდამოში ვეებერთელა სპორტული კომპლექსი ჰქონდა, სადაც ხშირად იწვევდა ხოლმე სახელოვან ათლეტებს. ბოლო სამი თვე შულცი თითქმის სულ დიუპონთან ცხოვრობდა, თავადაც ვარჯიშობდა და მასპინძელსაც აზიარებდა ჭიდაობის საიდუმლოებებს.

რატომ მოხდა მკვლელობა, ჯერჯერობით უცნობია. პოლიცია კი ერთ დღე-ღამეს მოუნდა მკვლელის აყვანას. როგორც კი შულცის მკვლელობის ამბავი გაცხადდა, დიუპონი სახლში ჩაიკეტა და სათოფეზე (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) არავის იკარებდა. პოლიციელთა სპეცდანაყოფები შტურმისაგან თავს იკავებდნენ, თავის თანამშრომლებს უფრთხილდებოდნენ - დიუპონს ამერიკაში უმდიდრესი იარაღის კოლექცია აქვს და თავადაც ჩინებული მსროლელია.

მაგრამ, ისევე, როგორც შულცს უყვარდა ხალიჩაზე, პოლიციამ მიზნის მიღწევა ძალის ნაცვლად ხერხით გადაწყვიტა. მან დენი და გათბობა გამოურთო დიუპონის სახლს. პატრონი დაიბნა, იფიქრა, რაღაც გაფუჭდაო და გარეთ გამოვიდა. სწორედ ამ დროს დააცხრნენ თავს პოლიციელები...

შულცს კი ამით აღარაფერი ეშველება. მისი სიკვდილით გულნატკენია მთელი სპორტული სამყარო და ცხადია, ქართველი მოჭიდავეებიც: დეივი ხომ მათი დიდი მეგობარი გახლდათ. შულცი 9-ჯერ ყოფილა თბილისში, საერთაშორისო ტურნირზე და ორჯერ, 1987 და 1991 წლებში მისი მოგებაც მოახერხა. 1991 წელს იგი თბილისს ოჯახით – მეუღლე ნენსით და ოთხი წლის ვაჟით ალექსანდერით ეწვია. ჩვენი დედა-თბილისიც ძლიერ უყვარდა შულცს, აკი უთხრა კიდეც „სარბიელს" 1991 წლის 8 თებერვალს: „თბილისში იციან ლამაზი ჭიდაობის ფასი, შესანიშნავად ერკვევიან ყოველ ნიუანსში, გულშემატკივარნი მუდამ ობიექტურნი არიან, კეთილმოსურნედ განწყობილნი. ეს განსაკუთრებულ ატმოსფეროს ჰქმნის დარბაზში და მეც ვცდილობ, მთლიანად გამოვავლინო ჩემი ძალა და უნარი".

დეივ შულცი თავისი ძალისა და უნარის სრულად გამოვლენას ატლანტის ოლიმპიადაზეც აპირებდა...

გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ და შულცის ახლო მეგობარმა, მოჭიდავე გიორგი მაკასარაშვილმა ამერიკაში სამძიმრის დეპეშა გააგზავნეს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ამ პარასკევს „სარბიელი" 12-გვერდიანი იქნება. მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს უცხოური სპორტის საინტერესო ამბებს ჩვენი გაზეთის ყოველთვიურ ჩანართ-დაიჯესტში



# ამ ფეხბურთს რას გაუგებ...

მამუკა კვარაცხელია

მოსკოვიდან



უცნაური რამაა ფეხბურთი, მითუმეტეს, დარბაზისა: მიდი და იმკითხავე, ვინ რას წარმოადგენს მეოთხე ჯგუფში — „დინამომ" 9:0 მოუგო „პამირს", ამან მეორე დღეს დაამარცხა „ქიაფაზი", ვინც პირველ ტურში მოუგო მეორე ტურში ქართველების მძლეველ „ჟალგირისს"! მოკლედ, ამ რებუსმა „სარბიელის" მკითხველი კი არა, ტურნირზე აკრედიტებული 250 ჟურნალისტიც ერთობ დააბნია, თუმცა როცა ჩვენი გაზეთის ეს ნომერი გამოვა, მეოთხედფინალისტები უკვე გეცოდინებათ, ამიტომაც ყველაფერს რიგით მივყვეთ.

საქართველოს უცვლელი ჩემპიონი მოსკოვში ტურნირის დაწყების-წინა დღეს ჩავიდა და სასტუმრო „კოსმოსში" დაბინავდა. აქვე შეგვატყობინეს, რომ წლეულს გათამაშების საპრიზო ფონდი საგრძნობლად გაზრდილა და 120 ათასი ამერიკული დოლარისთვის მიუღწევია, რაც მთავარი სპონსორის, გამაგრილებელ სასმელებში დაოსტატებულ ფირმა „7 UP"-ის დამსახურებაა. ამ თანხის ნახევარს ფინალისტები გაინაწილებენ: 42 პროცენტს გამარჯვებული ჩაიჯიბავს, 18-ს — ფინალში დამარცხებული, თუმცა ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა — ორი თამაშის შემდეგ თბილისის „დინამომ" ვერ გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა და მხოლოდ „ქიაფაზთან" მატჩი გადაწყვეტს აქ ყოფნის ხანგრძლიობას.

ქართველთა ჩემპიონის პირველი მეტოქე ყოფილ საბჭოეთში ჩვენზე შავ დღეში მყოფი ტაჯიკეთის ჩემპიონი „პამირი" იყო. ამათზე ლაპარაკი ხომ ისედაც ზედმეტია და ახლა მოსკოვს მთლად უმწვრთნელოდ ჩამოსულან — ამას შვილი ავად გახდომია და საბურთაოდ სადღა ეცალა.

## დინამო 9:0 პამირი

დინამო: ზოიძე (ქანტურია 79), კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (დემეტრაძე 65), კიკნაძე, ცქიტიშვილი (ხორხელი 73), კერძევაძე (იაშვილი 51), ყიზილაშვილი (ხომერიკი 50), ანჩაბაძე (მუჯირი 60)

პამირი: შუკუროვი, რ. ფუზაილოვი, კნიაზევი, აბდურაზაკოვი, უბაიდულაევი, იდიევი (შაიმოვი 64), გუმამადოვი (ივანჩიხინი 28), მუმინოვი, რაჯაბოვი (ამადბეკოვი 72), ზარდოვი (ქამალეთდინოვი 46), ჯაბაროვი (პ. ფუზაილოვი 64)

გოლი: ანჩაბაძე (21), გოგიჩაიშვილი (29 პ, 39, 50), კობიაშვილი (38), მუჯირი (73, 78), ხომერიკი (79), იაშვილი (89)

გაფრთხილება: რ. ფუზაილოვი

უმწვრთნელოდ დარჩენილი ტაჯიკები 28-ე წუთზე ძირითადი მეკარის გარეშე, ათნი დარჩნენ და არასაფეხბურთო ანგარიშიც გასაკვირი აღარ უნდა იყოს. პირველი ოცი წუთი პირთამდე სავსე „დინამოს" მანეჟი „ტაჯიკური პრესინგის" მომსწრე გახდა, თუმცა ცხადი იყო, შუააზიელები ამით დიდხანს ვერ იხეირებდნენ. პირველივე წუთზე კერძევაძემ ორი მეტოქე მოატყუა, პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა. ანგარიში კი 21-ე წუთზე გაიხსნა — ანჩაბაძემ საჯარიმოს ხაზთან მიიღო ბურთი, საფარზე დაუშვებლად გადაუტარა ორ მცველს თავზე და ისე ჩაუშვა შუკუროვის კარში. მალე ტაჯიკთა გოლკიპერი ყიზილაშვილმა „შეიწირა" — ანჩაბაძის პასით პირისპირ გავიდა და თავი მოაცელინა, მსაჯმა კი მეკარე მოედნიდან გააძევა და გოგიჩაიშვილსაც პენალტი დაარტყმევინა. ივანჩიხინი ამჯერად კი მოტყუვდა, მაგრამ 36-ე წუთზე, როცა ყიზომ მეორე პენალტი გაახერხა, მიუხვდა კახის და იმავე კუთხეში დარტყმული ბურთი მოიგერია. შესვენებამდე „დინამომ" კიდევ ორი გოლი შექმნა — ჯერ გოგიჩაიშვილის (მარჯვენა ფრთა რომ აიკლო) და კერძევაძის კომბინაცია დაასრულა კობიაშვილმა, მერე კი კახიმ გზაზე შემხვედრი ყველა მცველი მოატყუა და ივანჩიხინზეც შური იძია. მეორე ტაიმი ყიფიანმა იმავე შემადგენლობით დაიწყო, თუმცა ხუთ წუთში, გოგიჩაიშვილმა ჰეთ-თრიქი რომ შეასრულა, შეცვლებს მიჰყო ხელი. ყველაზე იღბლიანი ამ ეგრეთ წოდებულ მოედანზე მუჯირის შესვლა გამოდგა — ამან ხუთწუთიანი ინტერვალით თავი ორჯერ გამოიჩინა. ამას ასევე შემცვლელად შემოსულებმა — ხომერიკმა და იაშვილმა თითო დაუმატეს, თუმცა ბოლო გოლს მაინც გამოვყოფ: ხომერიკი ცარიელ კართან იდგა, მაგრამ არ „იღორა" და გოლი პარტნიორს გაატანინა. მოკლედ, ამ დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა თავს ყველაფრის უფლება მისცეს, უფრო სწორად კი, ეს უფლება მათ მეტოქემ უბოძა. აკი თქვა კიდეც მატჩის შემდეგ ყიფიანმა: ამ ანგარიშს მხედველობაში ნუ მიიღებთ, ნამდვილი თამაში ხვალიდან იწყებაო.

პირველი დღის სხვა თამაშებიდან აღსანიშნავი იყო „ჟალგირისის" წაგება აზერბაიჯანელებთან — ამათ 35-ე წუთზე ერთი გოლი გაიტანეს, მერე კი ცხრა კაცით თავის საჯარიმოს მიეჯაჭვნენ და მიზანსაც მიაღწიეს. რუსეთის ჩემპიონის დიდი ანგარიშით გამარჯვებაში, ცხადია, წვლილი ქართველებმაც შეიტანეს — რევიშვილმა და ყაველაშვილმა თითო გოლი გაიტანეს.

„ნამდვილი თამაში" კი შაბათს დაიწყო...

## დინამო 1:3 ჟალგირისი

დინამო: ზოიძე, კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი (მუჯირი 65), კერძევაძე (იაშვილი 49), ყიზილაშვილი (ხომერიკი 60), ანჩაბაძე (დემეტრაძე 70)

ჟალგირისი: სპეტილა, ნოვიკოვასი, ჟვირგჟდაუსკასი, შულაუსკასი, სტონკუსი, პუკელევიჩუსი, რიმკუსი, ტერეშკინასი, პრეიკშაიტისი (ვენციავიჩუსი 85), იანკაუსკასი, მიკულენასი

გოლი: იანკაუსკასი (47, 55), დემეტრაძე (71), სტონკუსი (85)

გაფრთხილება: იანკაუსკასი

ან ტაჯიკებთან გასეირნების ბრალია, ანაც სხვა რამ მიზეზმა იჩინა თავი — შაბათს „დინამომ", განსაკუთრებით მისმა დაცვამ, ისე სუსტად ითამაშა, „ჟალგირისზე" ოდნავ ძლიერი გუნდი დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვებდა. დაცვას „არ ჩამორჩა" ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაც, სადაც, წესით, ცქიტიშვილს და კობიაშვილს უნდა გაელაღათ, მაგრამ...



კახი გოგიჩაიშვილი

არადა, თამაში ჩვენების შეტევებით დაიწყო. პირველივე წუთზე ანჩაბაძემ სამი მეტოქე სახტად დატოვა, მეოთხემ კი საჯარიმოს მისადგომებთან წააქცია. საჯარიმო დარტყმა გოგიჩაიშვილმა შეასრულა და ბურთი ძელს გაარტყა. მალე კერძევაძეს გაუცუდდა სახეირო მომენტი. მერე კი ლიტველთა დაცვა საოცრად აწყობილად ათამაშდა, თან ვილნიუსელები ხისტ თამაშსაც არ ერიდებოდნენ და ჩვენებიც შედრკნენ. ტაიმის ბოლოს შემდგომი ორი გოლის გამტანი იანკაუსკასი პირველად აღმოჩნდა ჩვენი კარის სიახლოვეს, მაგრამ ლობჟანიძემ იმარჯვა და საფრთხე აგვაცილა. მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ იანკაუსკასმა დაარტყა მოულოდნელად — ზოიძემ მოიგერია, მაგრამ ერთი წუთის მერე ირაკლიმაც ვერაფერი გააწყო — პუკელევიჩუსმა მარჯვნიდან ჩააწოდა, იანკაუსკასი კი შვედ კენეტ ანდერსონის დარად ზოიძეზე მაღლა ახტა და თავურით ანგარიში გახსნა. 55-ე წუთზე ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან მაღალი ბურთისთვის კიკნაძე და ლობჟანიძე ახტნენ — პირველის იდაყვი მეორეს თავში მოხვდა და ესეც ვეღარ ადგა. ლიტველებმა ამით ისარგებლეს და სწორედ ლობჟანიძის ზონიდან იმავე იანკაუსკასმა მეორე შეაგდო.

აქ მანეჟში მყოფი ქართველი გულშემატკივრებიც აღელდნენ და ისეთი „დინამოდინამო" დასცხეს, დიდი ხანია, არ გამიგია. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ თბილისელებმა კარგა ხნით მიაჯაჭვეს მეტოქე კართან. დემეტრაძის გამოსვლა კი კარგი იყო — იმავ წუთს მისივე მოცელვისთვის დანიშნული საჯარიმო ცხრიანში გაახვია, მაგრამ ანჩაბაძის გასვლას იღბლიანს ნამდვილად ვერ დავარქმევ: ის რომ ყოფილიყო, შემდგომში შეტევები უფრო ორგანიზებული იქნებოდა. დარჩენილ დროში მეტოქემ კიდევ ერთი გოლი გაიტანა, გოგიჩაიშვილმა კი კიდევ ერთი ძელი შეაწუხა და თამაშიც დამთავრდა.

თამაშის შემდეგ ყიფიანს პირველ რიგში, ცხადია, შეცდომების მიზეზებზე ვკითხე.

— თამაში ორი ძირითადი მიზეზის გამო წავაგეთ. პირველი — ჩვენმა დაცვამ და მეკარემ ბევრი უხეში შეცდომა დაუშვეს. მეორეც — აშკარად წავაგეთ ათლეტურ მომზადებაში. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პირადად მეც დავუშვი შეცდომები.

— მარცხენა ფლანგზე სრული გაურკვევლობა სუფევდა. მისი კონტროლი კობიაშვილსა და ცქიტიშვილს ევალებოდათ, მაგრამ ეს არცერთმა გააკეთა...

— მართალი ბრძანდებით. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა, რომ ცქიტიშვილი ცენტრისკენ იწევდა, ამიტომაც ეს კოზირი — შეტევა მარცხენა ფლანგიდან გამოუყენებელი დარჩა.

— მომავალ მატჩზე რას ფიქრობთ?

— ამ წაგებიდან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. მომავალი მატჩისთვის ისეთ გადაწყვეტილებებს მივიღებთ, როგორიც საჭიროა და მეოთხედფინალში გავალთ.

### მონაწილე გუნდები

ნეფთჩი (ფერღანა, უზბეკეთი)
პამირი (დუშანბე, ტაჯიკეთი)
კოპეტდაღი (აშხაბადი, თურქმენეთი)
სკონტო (რიგა, ლატვია)
ფლორა (ტალინი, ესტონეთი)
ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა)
ელიმაი (სემიპალატინსკი, ყაზახეთი)
ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი)
ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა)
ალანია (ვლადიკავკაზი, რუსეთი)
დინამო (კიევი, უკრაინა)
დინამო (თბილისი, საქართველო)
დინამო (მინსკი, ბელარუსი)
პიუნიკი (ერევანი, სომხეთი)
ყირგიზეთი (კლუბების ნაკრები)
რუსეთი (ახალგაზრდული ნაკრები)

### I ტური. 26 იანვარი

A ჯგუფი

ზიმბრუ — ნეფთჩი 1:2
სკონტო — რუსეთი 3:2

B ჯგუფი

ელიმაი — პიუნიკი 3:0
ალანია — ყირგიზეთი 5:0

C ჯგუფი

დინამო (კ) — ფლორა 2:0
დინამო (მ) — კოპეტდაღი 5:3

D ჯგუფი

დინამო (თბ) — პამირი 9:0
ქიაფაზი — ჟალგირისი 1:0

### II ტური. 27 იანვარი

A ჯგუფი

რუსეთი — ნეფთჩი 2:1
სკონტო — ზიმბრუ 2:1

B ჯგუფი

ყირგიზეთი — ელიმაი 4:0
ალანია — პიუნიკი 4:0

C ჯგუფი

დინამო (კ) — კოპეტდაღი 2:0
დინამო (მ) — ფლორა 2:0

D ჯგუფი

დინამო (თბ) — ჟალგირისი 1:3
პამირი — ქიაფაზი 3:2

# ნუ წაართმევთ ფეხბურთს...

ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებს კრიზისი მიეძალათ. ეს ამბავი, თავისთავად, არ ახალია — ქვეყანაა შავ დღეში და კლუბებს რა მოალხენთ. ეგაა, თუ აქამდე მხოლოდ რანგით დაბალი გუნდები იშლებოდნენ, ახლა ეს საფრთხე პირველი ჯგუფის კლუბებსაც დამუქრებია. აკი გაუწყეთ წინა „სარბიელში", ქართლი, შესაძლოა, სულაც უფეხბურთოდ დარჩესო. გორის „დილა", რომელმაც ჩემპიონატი ჩინებულად დაიწყო და ლიდერთაგან ბევრიც გაამწარა, მეორე წრეში იქნებ ვერც ვიხილოთ. გუნდს თანდათან სტოვებენ საუკეთესო მოთამაშეები — შეტევების სულისჩამდგმელმა როინ მარღიშვილმა რუსეთს, კალუგის გუნდს ჩააკითხა ბედის საცდელად, მცველები ბალაშვილი და თარხნიშვილი გასაქცევად ემზადებიან. თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ისინი არზამასის „ტორპედოში" მიეშურებიან. გორში დასარჩენად არც მეორე თავდამსხმელი ზვიად ხორგუაშვილი იკლავს თავს. თუ „დილას" ეს ფეხბურთელები გამოაკლდა, თქმა რად უნდა, ძალიან გაუჭირდება. „დილას" სხვა მოთამაშეები კი ინდივიდუალურად ემზადებიან. ეტყობა, გუნდის ხელმძღვანელობასაც მობეზრდა უყურადღებობა და ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. იმასაც ამბობენ, კლუბის პრეზიდენტი ნოდარ დალაქიშვილი გადადგაო. ეს თუ ასე მოხდა, „დილა" მთლად უკაპიკოდ და უპატრონოდ დარჩება. დღევანდელის დარი კრიზისი პირველ წრეშივე რომ არ დაიწყო, სწორედ ამ კაცის დამსახურებაა. არადა, გორში ფეხბურთი ძალიან უყვართ, აქაურებმა ისეთი ქომაგობა იციან, ბევრგან სანატრელიც ექნებათ. ჰოდა, როგორი საქმეა, ხალხს ეს ერთადერთი გასართობიც მოუსპო. ერთხელაც ვიტყვით: ჩვენი დღევანდელი გაჭირვებისა ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ განა ქართლში „დილა" უნდა გაიწიროს?! ვერავინ დამაჯერებს, რომ გორში ერთი გუნდის შენახვა არ შეუძლია. ბრწყინვალე პირობებსა და უცხოურ ტურნირებს [illegible], საკმარისია [illegible] მინიმუმისა ლაპარაკი, რაც სავსებით შესაძლებელია. სხვა რაიონებმა თუ მოახერხეს ეს, გორს რაღა დაემართა. არადა, მეორე წრის დაწყებამდე ცოტა დრო რჩება. ვინც ჯერ არს, იქნებ მოახერხოს და ეს კარგი გუნდი დაშლას გადაარჩინოს...

უარესი ვითარებაა ხაშურში. „ივერიას" პრეზიდენტი თამაზ ბერიძე ლოგინად ჩავარდნილა და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. კაცს, რომელიც ავად თუ კარგად ინახავდა კლუბს, ამჟამად თავისი გასჭირვებია და გუნდისთვის ვერ იცლის, რაიონის ხელმძღვანელობამ კი ფეხბურთზე ხელი ჩაიქნია. მოთამაშეებს მოსწყინდათ უსახსროდ და უსაქმოდ ყოფნა და ხაშურს ეწვივნენ, რათა საბოლოოდ გაერკვიათ უფროსობასთან თავიანთი ბედ-იღბალი — მათი უმეტესობა მკვიდრი ხაშურელი არ გახლავთ. თქვენც ნუ მომიკვდებით, ვერავინ უნახავთ, უფროსობა ადგილზე არ დახვედრია ჩასულებს. არადა, ლოდინიც აღარ ხერხდება, სადამდე იქნებიან ფეხბურთელები უხელფასოდ და ულუკმაპუროდ?! მერე რაიონის თავკაცობას შემოუთვლია, მხოლოდ ახალგაზრდა ადგილობრივ ფეხბურთელებს ვათამაშებთ, რადგან რაიონს სხვა შესაძლებლობა არ გააჩნიაო. გაძლიერებული „ივერია" ხომ ციდან ვარსკვლავებს წყვეტდა და გაახალგაზრდავებული რაღას იზამს...

ერთი სიტყვით, ბოლომდე მაინც ძნელი დასაჯერებელია ამ ორი გუნდის დაშლა და მაინც ვიმედოვნებთ, რომ გორშიც და ხაშურშიც გამონახავენ საშუალებას, რათა „დილამ" და „ივერიამ" კიდევ გაახარონ თავიანთი გულშემატკივრები...

მამუკა კვანტალიანი

## რუსთაველები ემზადებიან

„მეტალურგმა" შეკრება კარგა ხანია, 5 იანვრიდან დაიწყო. რეხვიაშვილის, პერტიას („დნეპრში" არიან გასინჯვაზე) და ბურნაძის (ნოდიასთან პეტერბურგის „ლოკომოტივში" წავიდა), გარდა გუნდს არავინ შემოპკლებია. მთავარმა მწვრთნელმა რეზო ძოძუაშვილმა გვითხრა, რომ II ჯგუფის აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთი ლიდერის „აზოტის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით „მეტალურგმა", მეორე წრეში, შესაძლოა, ამათი რამდენიმე ფეხბურთელი ათამაშოს. ამჟამად გუნდში სინჯავენ მეკარე ლუკავას, რომელსაც ერთი ხანობა ფეხბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული და გაიოზ დარსაძის ჭაბუკთა ნაკრების თავდამსხმელს ვალერი გოგუას. ეს უკანასკნელი ბოლო ერთი წელია, თავდამსხმელად თამაშობს, აქამდე მეკარე გახლდათ. „მეტალურგის" შევსება კვლავაც გრძელდება.

## ცესკა გუჯაბიძესაც იწვევს

საქართველოს ნაკრებისა და „როსტსელმაშის" მცველი გოჩა გუჯაბიძე როსტოვის გუნდს გასაყიდთა სიაში ჩაურიცხავს. ეს ცნობა ჯერ „სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა, შემდეგ ზოგიერთმა ქართულმა გაზეთმაც, თუმცა ინფორმაცია არასრულია. საქმე ის გახლავთ, რომ გუჯაბიძე ლამის ერთადერთი ნორმალური მცველი იყო ანდრეევის გუნდში, მისით ცესკას მთავარი მწვრთნელი ტარხანოვი დაინტერესებულა და შეუთავაზებია კიდეც გადასვლა. გოჩასთვის ეს ვარიანტი, ცხადია, უკეთესია. ცესკა ხომ რუსეთის ჩემპიონობას უმიზნებს. არის ერთი გარემოებაც — მოსკოვის არმიელები გუჯაბიძის ბავშვობის მეგობრებსა და საქართველოს ნაკრების წევრებს გია ნემსაძეს და აკაკი დევაძესაც იწვევენ. თუმცა გუჯაბიძის და დევაძის მოსკოვში გადასვლას როსტოველთა გაზრდილი პრეტენზიები ეღობება. მათ ამ ორი ქართველის საფასურად იმდენი მოითხოვეს, რომ არმიელები სერიოზულად დაფიქრდნენ. როგორც შევიტყვეთ, ამჟამად მოლაპარაკებები გრძელდება. ერთი სიტყვით, გუჯაბიძის სატრანსფერო სიაში მოხვედრის მიზეზი მისი ცუდი თამაში არ გახლავთ.

## გუცაევი ჯერ კიდევ ფიქრობს

დაბრუნდეს თუ არა თბილისის „დინამოში". მისი აღრინდელი განცხადებით, ყველაფერი დეკემბრის ბოლოს გაირკვეოდა. თუმცა, ბედნიერმა ამბავმა ეს საქმე დროებით გადაავადა — ბატონ ვლადიმერს მეორე ბიჭი შეეძინა.

## ქართველები ქრომანეთს გერმანიაშიც დაერივნენ

თუმცა, მსხვერპლი არ ყოფილა, თუ რა თქმა უნდა, წაგებულ გუნდს მსხვერპლად არ მივიჩნევთ. გერმანიაში პირველობის განახლებამდე რეგიონალური ლიგის გუნდები საკონტროლო მატჩებს მართავენ. ერთ-ერთ შეხვედრაში გიორგი ლუდუშაურის „ზალმრორს" ნემსაძის, რეზო არველაძის და ნიკა ჩხეიძის „ჰომბურგისთვის" 2:1 მოუგია. სამი გოლიდან ორი ქართველთა ანგარიშზეა — მოგებულთაგან ლუდუშაურს უყოჩაღია, წაგებულთაგან — რეზო არველაძეს.

## ბონას ისტორია გრძელდება

ეტყობა, ბესიკ ბერაძეს საქართველოში დარჩენა არაფრის დიდებით არ სურს. ახლახან იყო, გაუწყებდით — ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში" გადასვლა ჩაშალა და საქართველოში დაბრუნდაო, რომ ვითარება კვლავ შეიცვალა. თანამეგობრობის თასის გათამაშების დაწყებას ბონა მოსკოვში შეხვდება, სადაც რუსეთის უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდთან მოლაპარაკებას ეცდება იქ დასარჩენად.

30
ეროვნული ბიბლიოთეკა

# უჯიგროებს ვერ ვიტან



გიორგი მჭედლიშვილი

— გვითხრა „ლოკომოტივის" ყოფილმა კაპიტანმა გიორგი მჭედლიშვილმა, რომელსაც საფეხბურთო წრეებში „კასპის" მეტსახელით უფრო იცნობენ. მისი პოლიციის აკადემიის გუნდში გადასვლის თაობაზე წინა „სარბიელში" უკვე გაუწყეთ. მჭედლიშვილს, ცხადია, კარგი ცხოვრების გამო არ გადაუდგამს ეს ნაბიჯი — ისევე, როგორც ბევრი ჩვენი ფეხბურთელი, იგიც უფულობამ შეაწუხა.

სანამ საქმეზე დავულაპარაკებოდი, ჯერ ის ვკითხე, „კასპს" რომ გეძახიან, ხომ არ გწყინს-მეთქი. კასპელი ვარ და რა არის აქ საწყენიო — ალალად მიპასუხა. ხასიათით მართლაც ასეთია — ალალი და პირდაპირი, რაშიც თავადაც დარწმუნდებით.

— საკონტრაქტო თანხა არ გადამიხადეს. სეზონის წინ „ლოკომოტივის" პრეზიდენტი გოგი ხაზარაძე შემპირდა, 2000 დოლარს მოგცემო. საუბარს „შევარდენის" წარმომადგენელი ზურაბ ქიტიაშვილიც ესწრებოდა. მეც სიტყვაზე ვენდე. იმედს ისიც მიძლიერებდა, რომ ზოგიერთებს პირობა შეუსრულეს. მეორე ტურის შემდეგ ხაზარაძე თავად გამომელაპარაკა — ჯანელიძემ მითხრა, მჭედლიშვილი გუნდს სჭირდებაო და ფულს აუცილებლად გადაგიხდიო. მაგრამ პირობა პირობადვე დარჩა. ფული კი აუცილებლად მჭირდებოდა — ორი შვილის მამა ვარ, თანაც პატარა ავადმყოფობდა, დღეს კი უფასოდ ვინ უმკურნალებდა. მივხვდი, ჩვენს ლაპარაკს და გუნდში ჩემს დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, მითუმეტეს, რომ რემი ვაშაკიძის დაჭერის შემდეგ ვითარება აირია და ყველა გაურკვევლობაში იყო. მეც თანდათან მოვეშვი, აღარც ვარჯიშებზე დავდიოდი, გულითაც ვეღარ ვთამაშობდი, ან კი რა აზრი ჰქონდა...

**— ძალიან გულდაწყვეტილი ჩანხარ...**

— აბა, რა იქნება?! ძალიან უნამუსოდ მომექცნენ. მთელი პირველი წრე დაპირებებს არ მაკლებდნენ, თანაც, პირველად მე უნდა მიმეღო ფული. ახლა გვიანი კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვნანობ — რა მინდოდა აქ, რისთვის დავრჩი. „მარგვეთში", „ბათუმში" და „დილაში" მიწვევდნენ. პირველ ორზე უფრო მწყდება გული, თორემ „დილა" ჩვენზე უარეს დღეში ყოფილა, გავიგე.

**— დღემდე რვა გუნდში თამაშობდი — ოზურგეთში, სამტრედიაში, თბილისის „დინამოში", ბათუმში, გორში, კასპში, ხაშურში, „შევარდენ-ლოკომოტივში". ახლა მეცხრეში. გინესის წიგნში მოხვედრას ხომ არ აპირებ?**

— არა, კაცო! მანამდე სად მივალ, თუმცა, გაჭირვება მანახეო, ხომ იცი... ვნახოთ, შეიძლება სხვაგანაც ვითამაშო. ხშირად არ მიმართლებდა, სადაც კი მივიდოდი, ყველგან გუნდი იშლებოდა. ერთი რაიკომის მდივანი მეორეს შეცვლიდა და გუნდიც მეორე დღეს აღარ იყო.

**— აკადემიაში გადასვლა როდის გადაწყვიტე?**

— შოთა ჭეიშვილმა მთხოვა პირველი წრის დასრულებისას, უფრო სწორად, ახალი წლის შემდეგ. მას დიდ პატივს ვცემ და გადასვლა რომ შემომთავაზა, გუნდზე აღარც მიფიქრია. შოთასთან ბათუმში და ცოტა ხნით თბილისის „დინამოშიც" მივარჯიშია. ვიცი, როგორი ადამიანიც არის.

**— ჭეიშვილთან მუშაობა ისე გიღირს, რომ მეორე ჯგუფში თამაშზეც დათანხმდი?**

— მართლაც ასეა. მასთან ვარჯიშიც სასიამოვნოა და ადამიანური ურთიერთობაც. სხვასთან შეიძლება თავი ისე ვერ გამოვავლინო, როგორც ჭეიშვილთან. შემიძლია თუ არ შემიძლია, თავს დავდებ და ჩვენს ახალ გუნდს დავეხმარები.

**— თავდადება და ბრძოლის ჟინი არც აქამდე გაკლდა...**

— თავიდანვე ასე იყო — სიზარმაცე არ მჭირვია.

**— არც სიფიცხე გაკლია...**

— ესეც არის, ეს პერიოდი იყო, როცა ვნერვიულობდი, ათასი საფიქრალი მქონდა და დაწყნარებული, გაწონასწორებული რას ვითამაშებდი, ჩემს დღეში მყოფი გავფიცხდებოდი, აბა რა იქნებოდა.

**— მხოლოდ წლევანდელ ჩემპიონატს არ ვგულისხმობ, საერთოდ გეუბნები, ყვითელი ბარათი არ არის შენთვის უცხო ხილი...**

— ბრძოლაში კი! ამაში გეთანხმები. უბრძოლველად ბურთს ვერ დავთმობ. ხშირად ისიც მაბრაზებს, რომ დღევანდელი ახალგაზრდები უჯიგროდ თამაშობენ. თამაშში სულსა და გულს არ აქსოვენ. ამაზე ნერვებაშლილი ბუნებრივიც არის, მაყურებლის თვალში მამის მკვლელი გამოვჩნდე. ვხედავ, მეტოქემ ჩვენიანი მოატყუა, ან ორთაბრძოლაში ისე გამოსცდა, რომ არავინ გულით არ ეთამაშება. მიჭირს ასეთებთან შეგუება.

**— დიდი ხანია, თამაშობ და ძირითადად უმაღლეს ჯგუფში. მიკვირს, დაბალი რანგის გუნდში გადასვლას როგორ დაყაბულდი...**

— ხომ ვთქვი, შეძლებისდაგვარად მინდა შოთას გუნდს დავეხმარო. თანაც უფროსი კაცი ვარ, ბიჭებს იქნებ მეც პატარა რამ ვასწავლო. ისიც ხომ გითხარი, რომ ჭეიშვილთან მუშაობა ნამდვილად მიღირს - შოთა სულ იმის ცდაშია, მოთამაშეს ყველანაირად გაუგოს, ფეხბურთიც ათამაშოს და კაცადაც ჩამოაყალიბოს.

**— „ლოკომოტივიდან" უფულობამ გამომაქციაო, თქვი. პოლიციის გუნდში, ეტყობა, უკეთეს პირობებს შეგპირდნენ...**

— არა! თანხის გამო არ გადავსულვარ. შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ მაინც გეტყვი, მეორე ჯგუფში თამაში მაინტერესებს.

**— სტახანოველივით ლაპარაკი გამოგდის...**

— მთლად ასეც არ არის საქმე. პოლიციის აკადემიის უფროსობას გუნდის პირველ ჯგუფში გადაყვანა, შემდეგ კი საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ გუნდად ქცევა სურს. ალბათ, პირობებიც ამის კვალობაზე გაუმჯობესდება.

**— 30 წლისა ხარ და ბუნებრივად იბადება კითხვა, როდემდე აპირებ თამაშს?**

— სანამ შევძლებ და ძალა მერჩის. არ ვსვამ და არ ვეწევი, ჯანზეც ვარ და. ფეხბურთს რატომ უნდა შევეშვა? ხშირად, სუფრასთან რომ ვსხდებით და ბიჭები სვამენ, მე მხარს ვერ ვუბამ, სიგარეტის სუნიც მაწუხებს და დიდხანს ვერ ვძლებ. სულ მეჩხუბებიან, ოღონდ შენ დარჩი და ღვინოს არ დაგაძალებთო.

**— საერთოდ არ მოგიწევია?**

— ბავშვობაში კი, ორ-სამჯერ, მაგრამ ორგანიზმმა არ მიიღო და თავს ხომ არ მოვიკლავდი.

**— გეტყობა კიდეც, რეჟიმის მოყვარული რომ ხარ...**

— თუ არ დაიცავ, ვერც ითამაშებ. ურეჟიმოდ შეიძლება გული შემიწუხდეს.

**— ერთი სიტყვით — „ლოკომოტივს" საბოლოოდ გამოემშვიდობე?**

— სამწუხაროდ ასეა, იმედი მაქვს, ზურაბ ქიტიაშვილი შეძლებს კარგი გუნდის შექმნას. მან შეიძლება ისევ დაიბრუნოს გუნდი. ამ კაცს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. დიდი პატივი მცა და ყველაფერში დამეხმარა.

მერაბ მამულაშვილი

# საქართველოში გაზრდილი საბერძნეთის ნაკრებში

**ვისაც ანდრო კიურჯიევის, ანუ ანდრეას ნინიადისის თამაში უნახავს, დამეთანხმება — უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი გახლდათ. დრო-ჟამმა მოიტანა და ხუთი წელია თბილისელი ბიჭი, ნინაპრების სამშობლოში — საბერძნეთში გადასახლდა. ამ ხნის მანძილზე ბევრიც მოასწრო: 1994 წელს საბერძნეთის II დივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ამის შემდეგ I დივიზიონის პირეოსის „ეთნიკოსმა" მიიწვია, შარშან კი საბერძნეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა დაადგეს თვალი.**

**საქართველოდან წასულს აქ ბევრი ახლობელი და მეგობარი დარჩა — ის ხალხი, ვინც მას ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებს. ამათგან უპირველესი ანდროს ყრმობისდროინდელი მწვრთნელი რეზო გაგუა გახლავთ. სწორედ მის ხელში გაიზარდა ანდრო. მასთან ისწავლა ფეხბურთის თამაში და ისე გაიკვლია გზა დიდ ფეხბურთში.**

**წერილი, რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ, ანდრეას ნინიადისმა ბატონ რეზოს გამოუგზავნა. მისი თავაზიანი ნებართვით, ბარათს მეც გავეცანი და იმდენი საინტერესო ამოვიკითხე, ვიფიქრე, მკითხველსაც დააინტერესებს-მეთქი.**

17.01.96

მოგესალმებით საბერძნეთიდან!

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო რეზო მას! მსურს შეგატყობინო, რომ ჩემი საქმეები კარგად მიდის. ახლა ათენში ვცხოვრობ, მშობლებთან და დასთან ერთად. ვთამაშობ პირეის „ეთნიკოსში" — საბერძნეთის უმაღლესი ლიგის გუნდში, რომელიც საშუალო დონისაა, მაგრამ მე ძალიან კარგად ვთამაშობ და მრავალი მიწვევები მაქვს ძალიან კარგი კლუბებისგან, თუმცა „ეთნიკოსიდან" არ მიშვებენ, რადგან გულშემატკივრები გუნდის პრეზიდენტისგან ითხოვენ, რომ მე არ გამყიდონ. მე კიდევ ერთი წელი უნდა ვითამაშო კონტრაქტით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზაფხულში მაინც გამყიდიან ძალიან დიდ ფულად.

რეზო მას. უკვე ორჯერ მიმიწვიეს საბერძნეთის ძირითად ნაკრებში, ვითამაშე ერთი მატჩი იუგოსლავიელებთან, მეორეჯერ, რუსეთის ნაკრებთან კი არ დამაყენეს.

რეზო მას. ძალიან ხშირად გიგონებთ ოქვენ და ჩვენ ვუნდს (1971 წელს დაბადებულთა გუნდს, სადაც ანდრო, გია ნემსაძის, დათო ყიზილაშვილის, აკაკი დევაძის და გოჩა გუჯაბიძის თანაგუნდელი იყო. რედ.). ხშირად, როდესაც სახლში ვზივარ, ბავშვობის სურათებს ვათვალიერებ. გავიგე, სერგო აპრესიანი გარდაცვლილა („ნორჩი დინამოელის" ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. რედ.) და გული მეტკინა, რა კარგი ადამიანი იყო.

როდესაც საბერძნეთში ჩამოვედი, ძალიან მიჭირდა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე აქაურობას, ხალხიც გავიცანი, თანაც წესებიც შევითვისე.

ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ყველა ჩემიანი აქ არის. მეც რაც შემიძლია, ყველას ვეხმარები.

რეზო მას. უკვე თითქმის ხუთი წელი გავიდა, რაც მე საქართველოდან წამოვედი, მაგრამ ყოველთვის ვიგებ საქართველოში მომხდარ ამბებს და ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი ყველა თქვენგანის გამო. გახსოვს, რა დრო იყო, რა კარგად ცხოვრობდა ყველა და ჩვენ კიდევ არ მოგვწონდა. აქ, საბერძნეთში კი რთულია ცხოვრება. ზიხარ და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ შეაგროვო ფული ბინის საყიდლად. თუ ეს მოახერხე, ცხოვრება გაგიიოლდება. მთავარია, ჯანმრთელი იყო და ყველაფერი კარგად იქნება...

რეზო მას. მანდ როგორ არის ფეხბურთის საქმე. გავიგე ისევ ბავშვთა ფეხბურთს დაბრუნებიხარ, ვერ ძლებ ბავშვების გარეშე. მაგრამ ძნელი იქნება ისეთი გუნდის შექმა, როგორიც ჩვენი იყო. ჩვენი ბიჭების შესახებ, ვინც კი ჩამოდის, ყველას ვეკითხები, ვინ სად თამაშობს, თემურ ქეცბაიამ მითხრა შოთა ჭეიშვილი ნაკრების მწვრთნელი ყოფილა. გადაეცი ჩემგან დიდი მოკითხვა. ჩემზე წასვლის წინ ისე გაბრაზდა, ვერც კი დავემშვიდობე და ეს ტკივილად დამრჩა სულში. მე შოთას დიდ პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს.

ყველას მოკითხვა გადაეცი, რეზო მას — ნოდარ ახალკაცს, საშა ჩივაძეს, მურთაზ ხურცილავას, ნოდარ აკობიას, კახი ასათიანს, დათო ყიფიანს და იუდეს ყველა მწვრთნელს. და საერთოდ, ყველა ჩემს ახლობელს, ვინც კი ჩემზე გეკითხება. როდესაც შესაძლებლობა გამიჩნდება, აუცილებლად ჩამოვალ და ყველას მადლობას გეტყვით, რომ იცოდეთ — მე არავინ დამვიწყებია და ძალიან მიყვარხართ ქართველები.

ყველას მაგრად გკოცნით. შეხვედრამდე.





1994. ნინიადისი საბერძნეთის პირველი ლიგის საუკეთესო მოთამაშედ დასახელეს. ანდრო სწორედ ამის შემდეგ მოხვდა უმაღლეს დივიზიონში

## რეზო გაგუა:

უპირველესად, რაც ანდრო ნინიადისზე შემიძლია ვთქვა, ეს არის — ფანატიკურად იყო შეყვარებული ფეხბურთზე. არ მახსოვს, ვარჯიში გაეცდინოს. წვრთნისას თავს იკლავდა. იგი გია ნემსაძის, დათო ყიზილაშვილის, კაკო დევაძისა და გოჩა გუჯაბიძის თანატოლია და მათში ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ — მოედანზეც და ცხოვრებაშიც. იმათ ცოტა გვიან გამოიჩინეს თავი, ანდრო კი თავიდანვე გამოირჩეოდა. პირველი ვიოლინო იყო. თამაში მიჰყავდა. ტურნირი არ იყო, საუკეთესო მოთამაშის პრიზი არ მიეღო — იამანიძის ტურნირზე ორჯერ, აგრბას პრიზზე... ზაპოროჟიეს საკავშირო ტურნირზე ხალხი გააოცა — აქაც საუკეთესოდ დაასახელეს. სკოლა რომ დაამთავრა, თბილისის „დინამოში" მიიწვიეს, თუმცა, ვერ გამიგია, „დინამოდან" რატომ გაუშვეს. ჯერ აქებდნენ, მაგარიაო, მაგრამ მერე, რა ვიცი, რა მოხდა და შოთა ჭეიშვილმა წაიყვანა ბათუმში. იქიდან საბერძნეთში წავიდა. წარმოშობით ბერძენია, და უკვე იქ ჰყავდა. წავიდა სანახავად, გასინჯეს მეორე ლიგის გუნდში, აიყვანეს და დარჩენა გადაწყვიტა. ეტყობა, აქ თავი დაჩაგრულად იგრძნო, ახლა კი საბერძნეთის ნაკრებშია და ახალი შესარჩევი ციკლისთვის ემზადება. რომ არ დაგვეკარგა, შეიძლება ჩვენთანაც ეთამაშა. მაგას, მე და სერგო აპრესიანი დავალებას არ ვაძლევდით. იცოდა რა უნდა ეკეთებინა მოედანზე. ძალიან ჭკვიანი იყო: ის კი არა, ერთხელ „დინამოს" დუბლებს გამაყოლა ყიფიანმა კიევში — ჯერ კიდევ საკავშირო პირველობა ტარდებოდა. კიევში მაშინ ნიკიფოროვი, იურანი, მაროზი და ბევრი სხვა ძლიერი ფეხბურთელი თამაშობდა, ახლა ყველა არც მახსენდება. ორი ტაიმის განმავლობაში დასდევდნენ ნიკიფოროვი და იურანი და ფეხი ვერ მოარტყეს, ისეთი მოხერხებული იყო. ჩვენებმა 2:1 მოიგეს. ბათუმში რომ გადავიდა, მაშინაც კი იყო კიეველთა ერთ-ერთი მწვრთნელი ვერემეევი ჩამოსული — კიევის „დინამოში" უნდოდათ მისი წაყვანა. ახლა კი ბლოხინს უნდა „ოლიმპიაკოსში" ანდროს მიწვევა, ისევე როგორც ქეცბაიას აქვს.. ძალიანაც კარგი, ღმერთმა ქნას! მიხარია, რომ კარგად არის და ცხოვრებაში თავისი ადგილი მონახა. რომ იცოდეთ, როგორ მომენატრა — ხუთი წელია არ მინახავს...

მერაბ მამულაშვილი

# იტალია

## უდინეზე 0:2 მილანი

[illegible]0 000 მაყურებელი

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი, კოზმინსკი, ბერტრანო, კალორი, ბია (მატრეკანო 46), რიისიტო, დეზიდერი, ბირპოფი, სტროპა (მაურო 60; პელეგრინი 72), პოჯი

მილანი: ს. როსი, პანუჩი, მალდინი, დონადონი, კოსტაკურტა, დესაი, ერანიო, ბობანი, სიმონე (ალბერტინი 60), რ. ბაჯო (დი კანიო 80), სავიჩევიჩი (სორდო 90)

გოლი: მალდინი (44), ბობანი (59)

გაფრთხილება: პელეგი, კოსტაკურტა, დესაი, ბობანი

## იუვენტუსი 2:0 პიაჩენცა

35 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, ა. კონტე, ტორიჩელი, კარერა, დი ლივიო, იუგოვიჩი (მაროკი 90), ვიალი, დელ პიერო (ლომბარდო 74), რავანელი

პიაჩენცა: ტაიბი, მ. კონტე, დი ფრანჩესკო, კორინი, მაკოპი, ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე, კაჩა, მორეტი (კაპელინი 65), პიოვანი

გოლი: ა. კონტე (34), ფერარა (62)

გაფრთხილება: კორინი

## სამპდორია 2:0 კრემონეზე

20 000 მაყურებელი

სამპდორია: პაგოტო, ლამონიკა, ბალერი, ინვერნიცი, საკეტი, მიხაილოვიჩი, კარემბო, ზეედორფი, კიეზა, რ. მანჩინი (მანიერო 75), სალსანო

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯანდებიაჯი, დე აგოსტინი, ან. ორლანდო, ვერდელი, პეტრაკი, პეროვიჩი (ფანტინი 60), ფლორიანჩიჩი, მასპერო, ტენტონი (ალოიზი 67)

გოლი: ბალერი (11), კიეზა (59)

გაფრთხილება: საკეტი, ბალერი, კარემბო, მანჩინი, ჯანდებიაჯი, დე აგოსტინი

## ატალანტა 2:1 რომა

18 000 მაყურებელი

ატალანტა: ფერონი, როტელა (გალო 74), ბოზელი (პიზანი 47), ერერა, ა. პაგანინი, მონტერო, ბონაჩინა, სალვატორი (სგრო 74), ვიერი, ფორტუნატო, მორფეო

რომა: ჩერვონე, ე. ანონი, კარბონი, დი ბიაჯო, პეტრუცი, ლანა, კაპიოლი, ტერნი (ჯანინი 36), ბალბო, ტოტი (კერუბინი 74), დელვეკიო

გოლი: დელვეკიო (21), პიზანი (77), მორფეო (84 პ)

გაფრთხილება: სალვატორი, ბონაჩინა, მონტერო, ლანა

## ბარი 2:2 ტორინო

30 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, მანგონე (მონტანარი 89), მანიგეტი, ყერსონი (ფიკინი 78), სალა, რიჩი, გაუტიერი, პედონე, ანდერსონი, ინგესონი, პროტი

ტორინო: კანიატო, ფალკონე, ბაჩი, მილანეზე, მალტალიატი, კრავერო, ანგლომა, კრისტალინი, რიციტელი, კარიჩი, ბერნარდინი (მინაუდო 78)

გოლი: რიციტელი (7), ანდერსონი (8), პროტი (25), კარიჩი (70)

გაფრთხილება: ანდერსონი, კრისტალინი, ბერნარდინი, ბაჩი

## ლაციო 4:0 კალიარი

50 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, ნესტა, დი მატეო (პიოვანელი 65), შამოტი, ბერგოდი, ბოკშიჩი, ფუზერი, კაზირაგი (რამბაუდი 80), ვინტერი (მარკოლინი 65), სინიორი

კალიარი: ფიორი, ვილა, პანკარო, ბიზოლი, ბონომი, ფირიკანო, ბრესანი (ლანტინიოტი 66), სანა (ნაპოლი 46), სილვა, ვენტურინი (ბიტეტი 78), ოლივეირა

გოლი: სინიორი (26 პ), კაზირაგი (28, 34, 45)

გაფრთხილება: ვინტერი

## ინტერი 1:1 პარმა

43 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, პისტონე (ფრეზი 84), კარლოსი, ძანეტი, მ. პაგანინი, ფესტა (დელ ანო 74), ბერტი, ინსი, ბრანკა, ბ. კარბონე, განცი

პარმა: ბუჩი, მუსი, დი კიარა, სენსინი, აპოლონი, კანავარო, ბრამბილა, დ. ბაჯო, სტოიჩკოვი (კრიპა 72), ძოლა, პინი

გოლი: სტოიჩკოვი (6), ბრანკა (83)

გაფრთხილება: კანავარო, დი კიარა, ბრამბილა

## პადოვა 4:2 ნაპოლი

14 000 მაყურებელი

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო (კოპოლა 62), გაბრიელი, კუიჩი, ჯამპიეტრო, როზა (ოსარი 79), კრეეკი (ფიორე 83), ნუნციატა, ამორუზო, ლონგი, ვლაოვიჩი

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო (პოლიკანო 76), ბორდინი (დი ნაპოლი 54), ტაკოლა (ბალდინი 46), აიალა, ბუზო, პეკია, აგოსტინი, პიცი, ლონგო

გოლი: ვლაოვიჩი (5, 66), ამორუზო (48), პიცი (53), ფიორე (84), დი ნაპოლი (87)

გაფრთხილება: კრეეკი, ბორდინი

## ფიორენტინა 1:1 ვიჩენცა

32 000 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, პიაჩენტინი, სოტილი (მალუში 58), პადალინო, რობიატი, შვარცი, ბატისტუტა, რუი კოშტა, ბაიანო

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, გროსი, დი კარლო, ბიორკლუნდი, ლოპესი (მ. როსი 91), ამერინი, ვივიანი, მურჯიტა (ბელოტი 72), ლომბარდინი, ოტერო (ამბროზეტი 84)

გოლი: ბატისტუტა (7), დი კარლო (46)

გაფრთხილება: მალუში, დი კარლო, ვივიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 19 | 11 | 7 | 1 | 29:12 | 40 |
| ფიორენტინა | 19 | 11 | 4 | 4 | 34:20 | 37 |
| პარმა | 19 | 9 | 8 | 2 | 30:17 | 35 |
| იუვენტუსი | 19 | 9 | 5 | 5 | 29:19 | 32 |
| ლაციო | 19 | 8 | 5 | 6 | 36:21 | 29 |
| რომა | 19 | 7 | 7 | 5 | 24:18 | 28 |
| ინტერი | 19 | 6 | 8 | 5 | 24:17 | 26 |
| ვიჩენცა | 19 | 6 | 8 | 5 | 18:17 | 26 |
| ნაპოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 20:21 | 26 |
| სამპდორია | 19 | 6 | 7 | 6 | 29:29 | 25 |
| უდინეზე | 19 | 7 | 4 | 8 | 22:26 | 25 |
| ატალანტა | 19 | 7 | 4 | 8 | 23:30 | 25 |
| კალიარი | 19 | 7 | 2 | 10 | 17:29 | 23 |
| პიაჩენცა | 19 | 5 | 4 | 10 | 20:36 | 19 |
| პადოვა | 19 | 5 | 3 | 11 | 22:31 | 18 |
| ტორინო | 19 | 3 | 9 | 7 | 19:31 | 18 |
| ბარი | 19 | 4 | 5 | 10 | 27:40 | 17 |
| კრემონეზე | 19 | 2 | 6 | 11 | 21:30 | 12 |

## სერია B

21-ე ტური. ჩეზენა — პალერმო 1:0; ფიდელის ანდრია — ბრეშია 1:0; ლუკეზე — ანკონა 3:1; პერუჯა — ბოლონია 2:1; პესკარა — კოზენცა 1:1; რეჯანა — პისტოიზე 2:0; რეჯინა — ჯენოა 2:1; სალერნიტანა — კიევო 2:2; ვენეცია — ფოჯა 1:1; ვერონა — აველინო 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეზენა | 21 | 9 | 7 | 5 | 29:19 | 34 |
| პესკარა | 21 | 9 | 5 | 7 | 27:27 | 32 |
| ბოლონია | 21 | 7 | 10 | 4 | 19:15 | 31 |
| ვერონა | 21 | 8 | 7 | 6 | 22:19 | 31 |
| რეჯანა | 21 | 8 | 7 | 6 | 20:19 | 31 |
| ჯენოა | 21 | 8 | 5 | 8 | 34:31 | 29 |
| ანკონა | 20 | 9 | 2 | 9 | 29:26 | 29 |
| პერუჯა | 21 | 7 | 8 | 6 | 25:22 | 29 |
| კოზენცა | 21 | 6 | 11 | 4 | 24:21 | 29 |
| პალერმო | 21 | 6 | 11 | 4 | 15:16 | 29 |
| ვენეცია | 21 | 6 | 9 | 6 | 17:20 | 27 |
| ბრეშია | 21 | 7 | 5 | 9 | 26:23 | 26 |
| სალერნიტანა | 21 | 6 | 8 | 7 | 19:17 | 26 |
| ფ. ანდრია | 21 | 6 | 8 | 7 | 23:23 | 26 |
| ფოჯა | 21 | 6 | 8 | 7 | 17:21 | 26 |
| რეჯინა | 20 | 6 | 8 | 6 | 21:27 | 26 |
| ლუკეზე | 20 | 5 | 10 | 5 | 18:21 | 25 |
| აველინო | 21 | 6 | 5 | 10 | 22:29 | 23 |
| კიევო | 21 | 3 | 13 | 5 | 17:19 | 22 |
| პისტოიზე | 20 | 3 | 7 | 10 | 18:27 | 16 |

# საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაკლას-ტოტო

**მატჩების სია — ტირაჟი №16 (3-5 თებერვალი)**

1. მილანი — რომა — იტალიის ჩემპიონატი
2. ვიჩენცა — იუვენტუსი — იტალიის ჩემპიონატი
3. პარმა — სამპდორია — იტალიის ჩემპიონატი
4. ნაპოლი — ატალანტა — იტალიის ჩემპიონატი
5. სპორტინგი — ატლეტიკო — ესპანეთის ჩემპიონატი
6. რაიო ვალეკანო — ბარსელონა — ესპანეთის ჩემპიონატი
7. რეალი — ბეტისი — ესპანეთის ჩემპიონატი

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 3 თებერვალს 16.00 სთ-ზე.

**მე-14 ტირაჟის შედეგები**

1. 1-0 2. 3-3 3. 2-0 4. 1-0 5. 1-0 6. 1-0 7. 1-2

მოგებები: ხუთი მატჩი — 420 ლარი (1 ვარიანტი). ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 1435 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 1810 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართ. ფირმა „ესკიზი“ (1[illegible].00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

ტირაჟების ანონსი ქვეყნდება აგრეთვე გაზეთებში: „საქმოსანი“, „7 დღე“.

# უეფას კონტრშეტევა?

ბოსმანის საქმე მოგეხსენებათ! 15 დეკემბერს ევროსასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ კონტინენტზე ფეხბურთის საქმე არია, ახლა ევროპის კავშირში შემავალი ქვეყნების კლუბებს ნება მიეცათ მოედანზე ერთდროულად რამდენიც უნდათ, იმდენი ევროკავშირელი ფეხბურთელი გამოიყვანონ, კონტრაქტდამთავრებული მოთამაშეების გაყიდვა კი აიკრძალა. რა გამოვიდა? რა და, ცნებებმა „უცხოელი“ და „ეროვნება“ ერთობ სიმბოლური და ფარღალალა მნიშვნელობა შეიძინეს, ხოლო ნიჭიერი ფეხბურთელების შეძენას ყოველგვარი ვაჭრობის და თავის ატკივების გარეშე შეძლებენ თითებზე ჩამოსათვლელი მილიონერი კლუბები. დანარჩენების საქმე კი ცუდად წავა. „სარბიელი“ ამასწინათაც წერდა, რომ, ვთქვათ, „აიაქსი“, რომელსაც წლობით ჩამოუყალიბებია ჩინებული საფეხბურთო სკოლა, აწი თავისი აღზრდილების საფასურსაც ვერ მიიღებს. გამოჩნდება მავანი მდიდარი კლუბი და უშუალოდ იმ ბიჭებს მოთაფლავს. გუნდს კი, რომელსაც ეს ფული მორიგი თაობის აღზრდაში გამოადგებოდა, გროშიც არ ერგება. „აიაქსის“დღეში ჩავარდება ევროპულ კლუბთა უმრავლესობა.

რას უპირისპირებს ამას უეფა? ჩვენი აზრით, ჯერჯერობით ქმედითს ვერაფერს. მართალია, თავის ჟურნალ „უეფა ფლეშში“ ამ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის გაბრაზებული წერილი, მაგრამ, ვეჭვობ, ამან რაიმე შეცვალოს.

„მეტისმეტად აგრესიულმა კომენტარებმა, რომლებიც ევროპის კომისიის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გამოაქვეყნეს, გამოამჟღავნა მათი იმთავითვე უარყოფითი დამოკიდებულება ფეხბურთის ხელმძღვანელთა მიმართ. მათი შეურიგებელი პოზიცია მოწმობს, რომ ისინი არარეალურ პოზიციას ადგანან. ამან განაცვიფრა არა მხოლოდ სპორტული სამყარო. გამოჩნდა, რომ ისინი ვერ ერკვევიან იმ საკითხში, რომლის შესახებაც მიიღეს გადაწყვეტილება. ახლა შეიქმნა არათანაბარი პირობები, დაირღვა „ფეარ ფლეის“ პრინციპი. ნუთუ მართლა აუცილებელი იყო ასეთი აგრესიული საქციელი? ... ხალხმა ვერ გაიგო ევროპელ პოლიტიკოსთა საქციელი. ასეთი მუქარა უეფასა და მასში შემავალ ფედერაციათა მიმართ ბრიუსელში მოკალათებულ ევროპის მმართველ ორგანიზაციას სკეპტიკოსებს ვერ მოაკლებს“ — წერს აიგნერი.

სანამ გენერალური მდივანი ამ წერილს ამზადებდა, პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი იტალიასა და ესპანეთს იყო ვიზიტად. ხუთშაბათს იტალიელებთან მას არაფერი გამოუვიდა. მათ არ ისურვეს ჯენტლმენურ გარიგებაში მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ „ჯენტლმენური გარიგება“ ისაა, როცა ამა თუ იმ ქვეყნის გუნდები პირობას დებენ. მართალია, ახალი კანონი სხვას ამბობს, მაგრამ ჩვენ უეფას ძველი კანონის ერთგულნი დავრჩებითო. რაც შეეხება ესპანელებს, ვერც მათ დადეს ერთგულების ალთქმა. „კომპოსტელას“, „ვალენსიას“ და ხიხონის „სპორტინგის“ პრეზიდენტებმა ჯენტლმენობა არ ისურვეს. „კომპოსტელას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია კანედამ თქვა: „გარიგებას ფასი არა აქვს, მას არავინ სცემს პატივს და არც ვინმე დაიცავს.“ „დეპორტივო ლა კორუნიას“ პრეზიდენტი ავგუსტო ლენდოირო კი შიშობს, რომ ევროპა ორად გაიხლიჩება.

სადღეისოდ ასეა საქმე. ევროკავშირი კანონით იმუქრება. უეფა ამის საპირისპიროდ „ჯენტლმენურ გარიგებებს“ ითხოვს. საფეხბურთო ბიზნესის სვავებთან ჯენტლმენობაზე საუბარი მთლად უპრიანი არ უნდა იყოს. ვშიშობთ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისე არ იყოს საქმე. საქმე რომელიც აირია.

# ფეხბურთის რუკასთან



უელსის ნაკრებმა წინა ოთხშაბათს ტერნიში იტალიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:3 წააგო. ამბობდნენ, ეს სახელგანთქმული იან რაშის ბოლო მატჩიაო ეროვნულ გუნდში. ჭორი იმანაც გააძლიერა, რომ მწვრთნელმა ბობი გოულდმა რაში თამაშის ბოლოს გამოცვალა, თუმცა, როგორც ჩანს, გოლდი ვეტერანს ასე იოლად ვერ შეელევა. გოლდი და რაში იტალიაში თამაშის შემდეგ საფუძვლიანად საუბარს ვერც მოასწრებდნენო, ამბობენ მიმომხილველები, რადგან მწვრთნელი იქიდან პირდაპირ ამსტერდამს გაეშურა მსოფლიოს პირველობის კალენდრის დასადგენად. რაში, გეხსომებათ, მაიკ ხმითის მწვრთნელობიდან მოხსნის შემდეგ, მეკარე ნევილ საუთჰოლთან ერთად, ამ თანამდებობაზე იყო წარდგენილი, მაგრამ მაშინ უელსის ფეხბურთის თავკაცებმა ბობ გოლდი არჩიეს. გოლდმა, როგორც კი დაინიშნა, განაცხადა, რაშიც და საუთჰოლიც ჩემი მრჩევლები იქნებიანო. ეტყობა, უელსელებს ვეტერანის საგანგებო კრძალვა აქვთ, რადგან მწვრთნელმა მარკ ჰიუზს ბოდიში მოუხადა, შარშან ალბანეთთან ვერ გათამაშე და აწი აღარ შემეშლებაო.

**კოლუმბიელი** ფაუსტინო ასპრილია, როგორც გაცნობეთ, „პარმადან“ ინგლისის პრემიერლიგის ლიდერ „ნიუკასლში“ ლამობს გადასვლას. მისი შეძენით დაინტერესებულია „ნიუკასლის“ მწვრთნელი, ცნობილი კევინ კიგანი, რომელიც გასულ კვირას რომში იყო ჩასული, სადაც პარასკევს ასპრილიამ სამედიცინო შემოწმება გაიარა. შემოწმების შედეგები პრესას არ აცნობეს, რამაც ეჭვი აღძრა. კიგანმა კი განაცხადა, თუ კოლუმბიელს პრობლემები შეექნება, იგი „ლაციოს“ ხორვატ თავდამსხმელს ალენ ბოკშიჩს შეიძენს.

**ირლანდიის** ნაკრების მწვრთნელს, ალბათ, ამ კვირაში დანიშნავენ. ჯეკი ჩარლტონის შემცვლელად, როგორც ჩანს, ან მიკ მაკარტის აირჩევენ, ან რონი ველანსს, ყოველ შემთხვევაში, დევიდ ოლირი კანდიდატთა სიიდან ამოშალეს.

**სამხრეთ აფრიკაში** მიმდინარე კონტინენტის ჩემპიონატზე გაირკვა ნახევარფინალისტთა ვინაობა. განამ პორტ ელიზაბეტში 1:0 მოუგო ზაირს. ერთადერთი გოლი 23-ე წუთზე „ლიდს იუნაიტედის“ ტონი იებოამ გაიტანა. იებოამ ამ დღეს კიდევ ერთი რამ მოახერხა — გოლამდე 8 წუთით ადრე, მე-15 წუთზე იდაყვი ჩასცხო ზაირელთა მცველს ნტუმბა დანგას, მაგრამ მაღელმა მსაჯმა სიდი ბეკაიემ ეს ვერ შენიშნა. სამაგიეროდ, მას არ გამოპარვია ზაირელი მცველის ნზელო ლემბის დანაშაული, როდესაც მან საჰაერო ბრძოლაში შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელს აბედი პელეს ჩაარტყა. ლემბი მოედნიდან გააძევეს.

სამხრეთ აფრიკამ ალჟირს მოუგო 2:1 იოჰანესბურგში. ამ შეხვედრაში მასპინძელთა ფილ მასინგა რომ არ გაეფრთხილებინათ, ნახევარფინალში, განასთან, იგი თავისი ლიდსელი თანაგუნდელის იებოას წინააღმდეგ ითამაშებდა. თუმცა, ორი ლიდსელის დაპირისპირებას განა — სამხრეთ აფრიკის მატჩში ალბათ ვერ აიცილებენ თავიდან. მასპინძელთა რიგებში, სავარაუდოა, კიდევ ერთი „ლიდსის“ მოთამაშე ლუკას რადებე გამოიყვანონ.

ბლუმფონტეინში 1994 წლის აფრიკის ჩემპიონატის ფინალისტმა ზამბიამ 18 წუთში სამჯერ გაუტანა ეგვიპტეს და მხოლოდ ერთხელ გაუშვა — 3:1.

ზამბიის მეტოქე იქნება ტუნისი, რომელმაც ძირითად დროში 1:1 ითამაშა გაბონთან, დამატებითი 30 წუთი უგოლოდ დამთავრდა, პენალტებში კი ტუნისის მეკარემ ორი აიღო და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

# ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

23-ე ტურის მატჩი. მერიდა — ბარსელონა 0:0

24-ე ტური. ოვიედო — რეალი 1:1; ბეტისი — რაიო ვალეკანო 0:0; ბარსელონა — სარაგოსა 3:1; ვალენსია — მერიდა 4:1; კომპოსტელა — ვალიადოლიდი 1:3; სალამანკა — დეპორტივო 0:5; ტენერიფე — სელტა 1:0; ალბასეტე — ესპანიოლი 0:0; სოსიედადი — სევილია 1:0; სანტანდერი — ხიხონი 1:1; ატლეტიკო — ატლეტიკი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 24 | 17 | 4 | 3 | 45:12 | 55 |
| ბარსელონა | 24 | 13 | 7 | 4 | 44:20 | 46 |
| ესპანიოლი | 24 | 13 | 7 | 4 | 35:18 | 46 |
| ვალენსია | 24 | 14 | 3 | 7 | 45:30 | 45 |
| კომპოსტელა | 24 | 13 | 4 | 7 | 31:28 | 43 |
| რეალი | 24 | 11 | 6 | 7 | 45:32 | 39 |
| დეპორტივო | 24 | 11 | 5 | 8 | 42:20 | 38 |
| ბეტისი | 24 | 9 | 11 | 4 | 33:25 | 38 |
| ტენერიფე | 24 | 10 | 8 | 6 | 41:35 | 38 |
| სოსიედადი | 24 | 9 | 6 | 9 | 31:34 | 33 |
| სელტა | 24 | 8 | 7 | 9 | 24:27 | 31 |
| ატლეტიკი | 24 | 7 | 8 | 9 | 27:35 | 29 |
| ხიხონი | 24 | 8 | 4 | 12 | 31:33 | 28 |
| ოვიედო | 24 | 6 | 8 | 10 | 25:35 | 26 |
| სარაგოსა | 24 | 6 | 8 | 10 | 23:33 | 26 |
| რაიო ვალეკანო | 24 | 6 | 6 | 12 | 26:41 | 24 |
| ალბასეტე | 24 | 5 | 8 | 11 | 34:47 | 23 |
| მერიდა | 24 | 4 | 11 | 9 | 19:32 | 23 |
| სევილია | 24 | 5 | 8 | 11 | 23:38 | 23 |
| სანტანდერი | 24 | 5 | 8 | 11 | 25:43 | 23 |
| სალამანკა | 24 | 5 | 7 | 12 | 35:43 | 22 |
| ვალიადოლიდი | 24 | 3 | 8 | 13 | 29:46 | 17 |

# საფრანგეთი

25-ე ტური. ბასტია — გინგამი 0:1; ბორდო — გენიონი 3:1; ლილი — მონაკო 0:0; პსჟ — კანი 2:1; ნიცა — მონპელიე 1:2; მარტიგი — სტრასბური 2:0; რენი — ლანსი 2:1; ოსერი — ლე აერი 1:0; სენტ ეტიენი — ნანტი 0:0, მეცი — ლიონი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 25 | 14 | 9 | 2 | 48:20 | 51 |
| ოსერი | 25 | 14 | 3 | 8 | 41:23 | 45 |
| მეცი | 24 | 12 | 8 | 4 | 24:16 | 44 |
| ლანსი | 25 | 10 | 12 | 3 | 27:16 | 42 |
| მონაკო | 25 | 11 | 7 | 7 | 37:27 | 40 |
| გინგამი | 25 | 10 | 9 | 6 | 21:17 | 39 |
| მონპელიე | 25 | 10 | 7 | 8 | 34:30 | 37 |
| ნანტი | 25 | 9 | 10 | 6 | 27:25 | 37 |
| რენი | 25 | 9 | 9 | 7 | 29:29 | 36 |
| ბასტია | 25 | 10 | 5 | 10 | 33:31 | 35 |
| სტრასბური | 25 | 8 | 9 | 8 | 32:26 | 33 |
| ნიცა | 25 | 9 | 5 | 11 | 27:28 | 32 |
| ბორდო | 25 | 8 | 4 | 13 | 27:35 | 28 |
| ლე აერი | 25 | 7 | 7 | 11 | 21:32 | 28 |
| ლიონი | 24 | 5 | 12 | 7 | 25:28 | 27 |
| სენტ ეტიენი | 25 | 5 | 11 | 9 | 27:38 | 26 |
| ლილი | 25 | 5 | 9 | 11 | 18:32 | 24 |
| კანი | 25 | 6 | 5 | 14 | 27:39 | 23 |
| გენიონი | 25 | 4 | 10 | 11 | 17:32 | 22 |
| მარტიგი | 25 | 6 | 3 | 16 | 20:36 | 21 |

# პორტუგალია

მე-20 ტური. ლეცა — ფელგეირაში 1:0; გიმარაეში — ბენფიკა 2:4; სალგეირუში — მარიტიმუ 2:0; ტირსენსე — უნიაუ 0:1; ეშტრელა — ფარენსე 1:1; ჟილ ვისენტე — ბოავიშტა 1:1; შავეში — პორტუ 2:3; სპორტინგი — ბრაგა 0:1. ბელენენსეში — კამპომაიორენსე 54-ე წუთზე შეწყდა და დამთავრდება 6 თებერვალს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 17 | 3 | 0 | 53:5 | 54 |
| ბენფიკა | 20 | 13 | 4 | 3 | 36:21 | 43 |
| ბოავიშტა | 20 | 12 | 5 | 3 | 36:16 | 41 |
| სპორტინგი | 20 | 12 | 4 | 4 | 41:17 | 40 |
| მარიტიმუ | 20 | 10 | 3 | 7 | 31:23 | 33 |
| სალგეირუში | 20 | 6 | 11 | 3 | 25:21 | 29 |
| გიმარაეში | 20 | 8 | 4 | 8 | 26:24 | 28 |
| ბელენენსეში | 19 | 7 | 6 | 6 | 26:18 | 27 |
| ბრაგა | 20 | 7 | 6 | 7 | 23:26 | 27 |
| უნიაუ | 20 | 8 | 2 | 10 | 22:36 | 26 |
| ფელგეირაში | 20 | 5 | 7 | 8 | 20:24 | 22 |
| ეშტრელა | 20 | 5 | 7 | 8 | 21:31 | 22 |
| ლეცა | 20 | 6 | 4 | 10 | 18:29 | 22 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 4 | 7 | 9 | 17:28 | 19 |
| ფარენსე | 20 | 4 | 3 | 13 | 14:27 | 15 |
| შავეში | 20 | 3 | 6 | 11 | 23:37 | 15 |
| ტირსენსე | 20 | 3 | 6 | 11 | 15:35 | 15 |
| კამპომაიორ. | 19 | 4 | 2 | 13 | 14:43 | 14 |

# ბურთაობა და გუნდაობა

ბრიტანეთში არსებულმა დიდთოვლობამ მხოლოდ ჯამარაულის ქოვენთრიში ჩასვლა როდი შეაფერხა — თასის მეოთხე წრის მატჩებიდან მხოლოდ ოთხის გამართვა მოხერხდა.

სამიდან ორი პრემიერდივიზიონელი ხელმოცარული დარჩა. გავარდნით არცერთი გავარდნილა, მაგრამ „ევერტონმა“ და „ტოტენჰემმა“ საქმე გაირთულეს და ახლა სტუმრად მოუწევთ გადათამაშება. 32812 მაყურებელი მივიდა „უაით ჰართ ლეინზე“, რათა „ტოტენჰემისა“ და პირველლიგელი მგლების — „ვულვერჰემპტონის“ თამაში ეცქირა. მასპინძელმა ვილსონმა მე 13 წუთზევე გახნა ანგარიში, მაგრამ 28-ზე ამის მცველი კოლეგები შეცდნენ და გუდმენს საპასუხო გაატანინეს. ასევე შინ კარ მოიგო თასის ახლანდელმა მფლობელმა „ევერტონმა“, რომელიც „პორტ ვეილ“ მასპინძლობდა. აქაც 33 ათასი კაცი ესწრო თამაშს, რომელშიც მასპინძლები ორჯერ იგებდნენ, თუმცა ორჯერვე მიღწეული დათმეს. პირველი გოლი ნიგერიელმა ამოკაჩიმ გაიტანა. ამას სტუმარმა ფოილმა 59-ზე უპასუხა. ბოლო ორი გოლი კი ბოლო ორ წუთში გავიდა: 89-ე წუთზე დანკან ფერგუსონმა ციხიდან გამოსვლის შემდეგ თავისი პირველი გოლი გაიტანა „გუდისონ პარკზე“, საფინალო სასტვენამდე 15 წამით ადრე კი პორტვეილელმა შემცვლელად შესულმა იან ბოგიმ დაარტყა, ბურთი ებრელს შეეხო და კარში გავიდა. „ჩვენ თამაში უკვე დამთავრებული გვეგონა და ის დარტყმაც, მცველს რომ არ მოხვედროდა, საუთჰოლისთვის იოლი ასაღები იქნებოდა. ასე რომ, გაგვიმართლა“ — თქვა მატჩის შემდეგ ბოგიმ. იმავე დღეს შემდეგ წრეში გავიდა „მანჩესტერ იუნაიტედი“ — გიგზის (36), პარკერის (56) და კანტონას (89) სამ გოლს მასპინძელმა „რიდინგმა“ ვერაფრით უპასუხა. კვირას ასევე სტუმრად მოიგო „ასტონ ვილამ“, რომელმაც ტრინიდადელი დუაიტ იორკის 63-ე წუთზე გატანილი პენალტით „შეფილდ იუნაიტედი“ სძლია. უამინდობის გამო ეს მატჩი არ გადადებულა, თუმცა თოვლმა აქაც იჩინა თავი — მაყურებლებმა გუნდაობა ატეხეს და პარტნიორებად მეტოქე ფეხბურთელები აირჩიეს.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციამ გადატანილი მატჩების ახალი თარიღები დადგინა, თან შემდეგი წრის წილისყრაც მოაწყო. „ქოვენთრი“ და „მანჩესტერ სიტი“ ერთმანეთს 7 თებერვალს შეხვდებიან, ამ წყვილში გამარჯვებული კი მეხუთე წრეში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ესტუმრება.

WORLD CUP-98
მეტოქეთა ბანაკში

FRANCE 98

# ინგლისი

# ტერი ტრიოს უტრიალებს



ვენეიბლზი და მისი თანაშემწე ბრაიან რობსონი

გახსოვთ ფრაზა: „ჩვენს მტერს ჰყავს თავისი მტერი. ესე იგი, ჩვენმა მტერმა გვიღალატა?!" ამ სიტყვებს ჩვენში მეტად პოპულარული ფრანგული ფილმის „ფანფან ტიულპანის" გამოშტერებული მოქმედი პირი — მეფე ამბობს. ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენი თავის ამ პერსონაჟთან შედარებისგან, მაგრამ ჩვენ რომ ყურადღება ამთავითვე მომავალი მეტოქეებისკენ გვაქვს მიპყრობილი, ისინი კი დამღვარან და სულ სხვა მეტოქეებთან სათამაშოდ ემზადებიან, უნებურად ბრიყვი მეფის ეს ნათქვამი გაგახსენდება. არადა, იმ ჩვენს მოწინააღმდეგეებს მართლაც აქვთ უფრო საშური საქმე, ვიდრე ჩვენთან თამაშია. მათ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატი ელით.

ქართველებმა რაღა ვქნათ? ბუნებრივია, მათი თითოეული ნაბიჯი უნდა შევისწავლოთ: რაც მეტს დავაკვირდებით, მით მეტად წაგვადგება. ამიტომაც ინგლისის ნაკრებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ჩვენს ამ მეტოქეს წინა კვირას შეკრება ჰქონდა, რომელიც, როგორც ირკვევა, სამი მცველით თამაშის შესწავლას მიეძღვნა. მოგეხსენებათ, ჰოლანდია, შოტლანდია და შვეიცარია ევროპის პირველობაზე ჯგუფში ინგლისთან ერთად მოხვდნენ. ტერი ვენეიბლზიც ამდგარა და აქაოდა, შოტლანდია და შვეიცარია ჩვენთვის უფრო ჩვეული სტილით თამაშობენო, ნიდერლანდელთა სამმცველიანი ხრიკების დამუშავებას შეხვდომია. ინგლისელთა ბანკი ვიდეოზე მომავალი მოწინააღმდეგის თამაშებს არჩევდა, ბჭობდა, შემდეგ კი მოედანზე გადიოდა და თეორიულად ნათქვამს პრაქტიკულად აჭაშნიკებდა. საგანგებო ყურადღება ჰოლანდიის და ირლანდიის დეკემბრის თამაშისთვის მიუქცევიათ, სადაც ირლანდიელებმა მეტოქის სამმცველობანას ვერაფერი დაუპირისპირეს და იმიტომაც გადაულოცეს ევროპის ჩემპიონატის საგზური. ვენეიბლზმა განაცხადა, ჩვენ ირლანდიის შეცდომა არ უნდა გავიმეოროთო და თავის მცველთაგან ორი ტრიო შეადგინა. ერთში ეპიოგუ, ადამსი და პირსი გააერთიანა, მეორეში ნევილი, საუთგეიტი და კემბელი.

თუ ასეთ დაცვას ფართოდ ეთამაშები და წინაც ერთ თავდამსხმელს განაწესებ, იძულებულნი შეიქნებიან ერთი კაცი ნახევარდაცვას მოაკლონ და დაცვაში დაწიონ, ეს კი მათთვის მეტად არასასურველია — თქვა სოლ კემბელმა. ამით ინგლისელებს იმის თქმა უნდათ, რომ ორი გარემარბი, თუ რაღაც ამგვარი ფუნქციის მოთამაშე, მეტოქის ორ ცენტრალურ მცველს ფლანგებისკენ გაიტყუებს, ფორვარდი კი მესამე მცველს, ჰოლანდიის შემთხვევაში ბლინდს შერჩება. ასეთ პირობებში უკნიდან შეჭრილი კიდევ ერთი ინგლისელი უკვე რიცხობრივ უპირატესობას შექმნის. ამის საპირისპიროდ სამმცველიანებს ოთხმცველიანობა მოუწევთ, რაც მათი ტაქტიკის არევაა.

მეორე მხრივ, ვენეიბლზი თავის გუნდსაც აჩვევს სამი მცველით თამაშს. ეს იმ უპირატესობას იძლევა, რომ ნაკრებთა უმეტესობა ორი თავდამსხმელით გამოდის. თუ ერთი ერთმა მცველმა აიყვანა, მეორე კი მეორემ, მესამე თავისუფალი რჩება.

უგო ეჰიოგუმ თქვა, თუ მაინც ტრადიციულ ოთხმცველიან დაცვით ვარიანტზე დავრჩით, არც ეს იქნება ურიგო, რადგან მცველს შეტევებში ჩართვის საშუალება მიეცემათ. მან ამის დასტურად საკუთარი მაგალითი მოიყვანა — ამ ბოლო დროს თამაშში ისე არ ჩაივლის, ორჯერ-სამჯერ მეტოქის საჯარიმოსთან არ ჩავიდეო.

ვენეიბლზი, ეტყობა, შემოქმედებით აღმაფრენას განიცდის, სამი მცველით თამაშის ჰოლანდიურ ვარიანტს აჩვევს თავის [illegible]ების. ოთხმცველიანი ხომ ინგლისე[illegible] ესწავლებათ და, თუ სამიანიც შეითვისეს (ისევე, როგორც მის წინააღმდეგ თამაში), არსენალში ორი ვარიანტი ექნებათ. საჭიროებისამებრ, ხან ერთს გამოიყენებენ, ხანაც მეორეს.

გარდა ევროპის პირველობისთვის მზადებისა, ინგლისელებს კიდევ ერთი საზრუნავი აქვთ — ვენეიბლზის შემცვლელის პოვნა. ვენეიბლზმა რომ ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობის დატოვება განიზრახა, ბევრმა, ვისაც მის მემკვიდრედ თვლიდნენ, განაცხადა, რომ ნაკრების თავკაცობა არ აინტერესებს. და აი, გამოჩნდა კაცი, რომელმაც თავად გამოთქვა ამ თანამდებობაზე მუშაობის სურვილი. იგი ჯეკ ჩარლტონი გახლავთ, ცნობილი მწვრთნელი, რომელიც კარგა ხანს ირლანდიელთა ნაკრებს ედგა სათავეში და იქედან მხოლოდ ერთი თვის წინ წავიდა.

თუ შემომთავაზებენ, როგორც ინგლისელი, უარს ვერ ვიტყვი — თქვა 60 წლის ჩარლტონმა, რომლის ხელმძღვანელობითაც ირლანდიამ 1988 წელს პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. 1990-ში, ასევე პირველად, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჩავიდა და იგივე 1994-შიც გაიმეორა.

როგორ გამოეხმაურება ჩარლტონის წინადადებას ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, მალე გამოჩნდება. ერთხელ, 1980 წელს ჩარლტონის ასეთსავე ინიციატივას ალბიონელი ფეხბურთის შეფები არ გამოეხმაურნენ.

გიგა კოპაძე


## გეპატიჟებათ ბაკურიანის „მთის ბროლი"

თუ გიყვართ თოვლი და მზე, მთა, ციგებითა და თხილამურებით სრიალი, ტრამპლინიდან ხტომა, ერთი სიტყვით, თუ გაკაჟება გსურთ, გიწვევთ ბაკურიანის „მთის ბროლში".

თქვენს განკარგულებაში იქნება ორიგინალური სტილის, გათბობითა და ცხელი წყლით უზრუნველყოფილი კორპუსი, საუნა, სასადილო, ბარი, ვიდეობარი.

ბაკურიანის „მთის ბროლის" საგზურები შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

მოგვმართეთ: თბილისი, წერეთლის პროსპექტი 142, ჰოლდინგური კომპანია „სამთო ქიმია", ოთახი 22. ტელეფონები 34-13-30 (დღისით), 23-36-52 (საღამოს).


— „სარბიელი" ქინქლაძეს უყიდია და სულ თავისზე აწერინებს — ხუმრობდა ქუჩაში ვილაც გალიზიანებული.

— თუ ქინქლაძეზე არ დაწერთ, „სარბიელს" სულ არ წავიკითხავ, არც საქართველოს ჩემპიონატი მაინტერესებს და არც ნაკრები — გვითხრა მეორემ.

ნუთუ ახალ დაავადებასთან, ქინქლაძოფრენიასთან გვაქვს საქმე? ერთ პიროვნებაზე ყურადღების ასეთი გამახვილება, ცხადია, იმ პიროვნების გამოწვეულია. გიორგი ქინქლაძემ თავისი თამაშით ინგლისში გარკვეული რეზონანსი გამოიწვია და იქაური პრესა აალაპარაკა. „სარბიელი" კი ბუნებრივია, მოვალეა, საქართველოს ნაკრების ლეგიონერ მოთამაშეზე რაც შეიძლება მეტი აცნობოს თავის მკითხველს. ამიტომაც დღეს გთავაზობთ 20 იანვრის „დეილი ტელეგრაფში" გამოქვეყნებულ სარა ედვორსის სტატიას.

ქინქი „მანჩესტერ სიტის" ჯადოსნურად ნიჭიერი ნახევარმცველის გიორგი ქინქლაძის უცვლელი მეტსახელი იყო მას მერე, რაც სეზონის დასაწყისში იგი თბილისის „დინამოდან" 2 მილიონ გირვანქად ინგლისს გადმობარგდა. ამბობდნენ, დედამისი, რომელიც ახლა სახლს მონატრებულ შვილთან ჩამოვიდა და ქართული კერძები ჩამოუტანა, თავიდან ბიჭის ასე შორს გაშვების წინაამდეგი იყოო. ახლა „მეინ როუდზე" თავის კერპს სახელი შეუცვალეს — გიოს უწოდებენ.

22 წლის, ძნელადგამოსათქმელი გვარის ფეხბურთელმა, რომელიც იმ ქვეყნიდანაა, თითქმის არავინ რომ იცის, სად მდებარეობს, მართლაც დიდი სახელი დაიგდო. გულშემატკივართა შიშს, თავიანთ ხუთი ფუტისა და ხუთი გოჯის (165 სმ) სიმაღლის მსოფლიო კლასის მოთამაშეს არაფერი აწყენინონ, იგი დიდი გულისხმიერებით პასუხობს. ქინქლაძე ცდილობს შეცვალოს აზრი, რომ დედამისი გაგებით ვერ ეკიდება მის ბედნიერ ცხოვრებას „მეინ როუდზე", მის მეგობარ თანაგუნდელებს, საუცხოო მწვრთნელს, კლუბის თავმჯდომარეს და ქომაგებს, რომელთა კერპად ყოფნაც მისთვის უდიდესი პატივია.

„დედაჩემს მოსწონდა, ქინქის რომ მეძახდნენ — გვიხსნის თარჯიმნის, ქართველი სტუდენტის ნატალის დახმარებით, რომელიც მეგობარ ნუკასთან ერთად ჰასტინგსში ინგლისურს სწავლობს. ისინი ქინქლაძის ოჯახთან ურთიერთობას გვიადვილებენ. — „თავიდან გვეგონა, ქინქი ჩემი გვარის შემოკლებული ვარიანტი იყო, სანამ ფრენსის ლიმ არ ამიხსნა, რომ მას სხვა მნიშვნელობა აქვს."

მისი ახალი გუნდისთვის საშიშ სეზონში ქინქლაძე ხშირად იმ ერთადერთ კაცად ჩანს, დაღმა მიმავალ ესკალატორზე აღმა რომ მიიწევს. ინგლისურად ორი ფრაზა იცის: „წინ სიტი" და „მომაწოდე ბურთი". ვარჯიშებზე ჭადრაკის ფიგურასავით გადააადგილებენ ხოლმე, თამაშებზე კი ინსტინქტი იმარჯვებს.

თასზე „ლესტერთან" მისი თამაში გმირული იყო. ის იწყებდა მოქმედებას და თანაგუნდელებს ოთხი გოლი გაატანინა, ერთიც პირადად გაიტანა. გულშემატკივრები მის თამაშში პოულობენ ისეთ ელემენტებს, მთელ დანარჩენ გუნდში რომ ვერ ხედავენ: ბურთის უზადო ფლობა, შთამაგონებელი თვითრწმენა, მოედნის ხედვა და ელექტრონის სისწრაფე. ინგლისელთა სამწუხაროდ, მათი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფში საქართველოს შეხვდა. ისინი არ დაივიწყებენ, როგორ დაასამარა ქინქლაძემ უელსელთა იმედები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში. თავად ქინქლაძე გრძნობს, რომ ფორმის პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია.

— დიდად კმაყოფილი არ ვარ ამ სეზონში ჩემი თამაშით — ამბობს ისე მორცხვად, რომ ეს სიმორცხვე უხერხულობაში გადადის.

— ხანდახან ისე კარგად ვერ ვთამაშობ, როგორც შემიძლია. ჩემს სტილში არაფერი შემიცვლია, მაგრამ პრემიერლიგა ფიზიკურად დიდ დატვირთვას ითხოვს. აქ ვარჯიში საუკეთესოა, მაგრამ კალენდარია მეტისმეტად გადატვირთული.

თავიდან ქინქლაძეს გუნდთან შეწყობა გაუჭირდა, მაგრამ ბოლო სამ თვეში „სიტის" თამაშში გასაოცარი წვლილი შეიტანა. მისი რეპუტაცია იმითაც შეიძლება შევაფასოთ, გერი ფრენსისმა („ტოტენჰემის" მწვრთნელია), რომელიც შინ ღია, შემტევ ფეხბურთს ქადაგებს, „უაით ჰარტ ლეინზე" ქინქლაძეს სოლ კემპბელი ჩრდილად მიუჩინა.

— სეზონის დაწყებამდე ვთქვი, რომ ქინქლაძე უახლოეს მომავალში ჩვენს ქომაგებს სტადიონის ჭერზე გაიყვანს-მეთქი — თქვა ბოლმა — მე არ მინდა გადავაჭარბო, რადგან ის ახალგაზრდა ბიჭია, ინგლისურ ფეხბურთს ჯერ კიდევ რომ სწავლობს, მაგრამ თუ ის პრემიერლიგის აურზაურს ალღოს აუღებს და მჭიდრო კონკურენციას თავს გაართმევს, მაშინ ორ წელიწადში ხელთ კრიალა მარგალიტი გვეყოლება."

ბოლმა ქინქლაძეს „სიტიში" მწვრთნელად დანიშვნის დღესვე დაუდო კონტრაქტი. თბილისის „დინამოსთან" გარიგებას ფრენსის ლი აწარმოებდა.

— მანჩესტერელები უფრო პროფესიულად აწარმოებდნენ ჩემს კლუბთან მოლაპარაკებას — ხსნის გიო, რატომ არჩია „სიტი" არგენტინულ „ბოკა ხუნიორსსა" და მადრიდის „რეალს", რომელთაც ასევე სურდათ მისი შეძენა — ინგლისური ფეხბურთი ბავშვობიდან მიყვარდა. აქაური კლუბების თამაშს სულ ვუცქერდი ტელევიზიით. საქართველოში „ლივერპული" ყველაზე პოპულარულია.

მას მერე, რაც დედამისი ჩამოვიდა და ნიგოზი და ცხარე სუნელები ჩამოიტანა, მან თავი კარგად იგრძნო. აქ, შესაძლოა, ამინდი ისეთი თბილი ვერაა, როგორც შავი ზღვის პირას, მაგრამ ცხოვრების დონე ნისლს და ცივ ქარს აძლევინებს.

— ქართველები ფრიად თბილ ხალხად ითვლებიან და შინ თავს სხვაგან ვერ ვიგრძნობ, მაგრამ მანჩესტერელებიც ძლიერ კეთილნი არიან და გუნდშიც ოჯახური გარემოა შექმნილი.

მისი კერპი მარადონაა. მათ შორის მართლაც არის საერთო. ისინი ერთნაირი აგებულებისანი და მოედანზე თამამნი არიან. გოლი, რომელიც მან ნევილ საუთჰოლს გაუტანა (უელსის ნაკრებს, კარდიფში), იმ კატეგორიას განეკუთვნება, წლების მანძილზე რომ არ ავიწყდებათ, მაგრამ ქინქლაძე მაინც ვერ შეეჩვია, რომ საყოველთაო აღტაცების ობიექტია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერხკამპი, ჟუნინიო და გულიტი უფრო ძლიერ გუნდებში თამაშობენ, გიო პრემიერლიგის საუკეთესო იმპორტია. მისგან ქომაგები ხსნას ელიან. ქინქლაძემაც იცის, რომ მომავალი რამდენიმე კვირა ჯოჯოხეთური ექნება.



დედის ჩასვლით გიომ ძალიან გაიხარა

სარა ედვორსი,
„დეილი ტელეგრაფი"

# „სიტი" [illegible] ქართულად გააბრწყინა

მოგვიანებით, მაგრამ აქვე ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რას წერდნენ გაზეთები გიოს შესახებ „მიდლსბროსთან" თამაშის შემდეგ, რომელიც „სიტიმ" 1:4 კი წააგო, მაგრამ...

ჯეიმს ლოუტონი („დეილი ექსპრესი"): რატომ დარჩა „მიდლსბროს" წარმატება შეუმჩნეველი? ამის ახსნა აღრეულია უამრავ წვრილმან საკითხებში, მაგრამ სინამდვილეში ერთი რამ საკმარისია. ამის თქმა ორი სიტყვით შეიძლება: გიორგი ქინქლაძე.

„მიდლსბრომ" ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მათ არ ჰყავდათ პატარა კაცი საქართველოდან. მათ არ ჰყავდათ არტისტი-მეომარი, რომელმაც ნახევარ საათში გვიჩვენა აღდგენილი „სიტი" და 30 ათას მაყურებელს დაანახა ფეხბურთის აღთქმული მიწა. მისი გოლი იყო გაწონასწორებულობის და გამარჯვების ჩვევების შესანიშნავი მაგალითი.

როცა იგი „მეინ როუდზე" მოვიდა, მისი ოსტატობა აშკარა იყო, მაგრამ პიროვნულად ლიდერად არ ჩამოყალიბებულიყო. ახლა იგი გამოკვეთილი ოსტატია, გამოირჩევა დიდი მობილურობით, მახვილი თვალით და გახსნის უნარით, მას ყოველთვის შეუძლია კარგად შესთავაზოს თავი პარტნიორს პასის მისაღებად.

ნორმან ფოქსი („ინდეპენდენტ სანდი") ალან ბოლმა ივარაუდა, რომ განსხვავება ქინქლაძისა და ჟუნინიოს შორის სიგარეტის ქაღალდივით სიფრიფანა იქნებოდა. ტყუილია. ქინქლაძემ პირადი ბრძოლა ერთი მილით მოიგო.

ტიმ ვორნსოფი („ო[illegible]ფლი"): მატჩის პარალელურად მიმდინარეობდა ბრაზილიელ... სამბას მოცეკვავე ჟუნინიოსა და ქართველი გენიოსის ქინქლაძის დუელი. „სიტის" უცნაურმა „იმპორტმა" ნაპერწკლები ყარა. მისი გოლი უბრალოდ კლასის დადასტურება იყო.

ბობ კასი („მეილ ონ სანდი"): პირველ ტაიმში ქინქლაძემ დაჩრდილა ბრაზილიელი ოპონენტი. განსაკუთრებით შუა მოედანზე, სადაც იგი უნიჭიერესად დირიჟორობდა.

რიჩარდ ბოტი („სანდი ექსპრესი"): თუკი ბრაზილიური არტისტიზმი და ქართული ჯადოქრობა ერთად ციაგებენ სამობაო ნათურების მწკრივში, ქინქლაძე ნახევარ ფასში, ჭეშმარიტად უფრო სარფიანი შენაძენია. ჟუნინიო ნამდვილი ტალანტია, მაგრამ ნახევარი საათი იგი გზაარეულს ჰგავდა თბილისის „დინამოდან" მოსულის თამაშის გამო.

და ბოლოს, ერთ ჩვენ ნაცნობ გაზეთს, „სპორტ-ექსპრესს" წინა ოთხშაბათს ისეთი რამ დაუბეჭდავს, თავმოყვარე გამოცემას რომ არ ეკადრება. ვგულისხმობთ ამ გაზეთისგან სამხრეთ აფრიკაში მივლინებული კორესპონდენტის ალექსანდრ პროსვეტოვის ინტერვიუს, რომელიც მან მანდელას ქვეყნის ნაკრების მოთამაშეს ფილიმონ მასინგას ჩამოართვა. ჩვენთვის საინტერესო ნაწილი ამ წერილიდან:

— რომელ რუს ფეხბურთელს იცნობთ?

— კანჩელსკისს და სალენკოს — ორივე მშვენიერი მოთამაშეა. ზარინი კი იმით დამამახსოვრდა, რომ ჩემი პირველი გოლი ინგლისში სწორედ მას გავუტანე.

— ქინქლაძე?

— კი მაგრამ, ის ხომ საქართველოდანაა? ფანტასტიური მოთამაშეა.

...რუსს რომ სამხრეთაფრიკელი, თუნდაც „ლიდსის" მოთამაშე ასწავლის, რუსეთი და საქართველო სხვადასხვა ქვეყნებიაო, არ გვიკვირს, მაგრამ ამის საქვეყნოდ გამოჭენება რა საამაყო იყო? ისე კი, პროსვეტოვი რომ დაიბნა, ცხადია — ამ ინტერვიუს შემდეგი შეკითხვა ასე ჟღერს: პოლიტიკა გაინტერესებთ?

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ესპანეთის თასის მეოთხედფინალი.

31 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნუმანსია — ბარსელონა | (7,5—1,05) | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| ტენერიფე — ატლეტიკო | (2,3—1,4) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სევილია — ვალენსია | (2,5—1,35) | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ესპანიოლი — სარაგოსა | (1,5—2,0) | 1,4 | 2,8 | 4,4 |

ინგლისის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნოტინგემი — ლიდსი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. 25-ე ტური

3 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| ჰართსი — რეის როვერსი | 1,3 | 2,9 | 5,3 |

ინგლისის ჩემპიონატი. 25-ე ტური

3 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ქოვენთრი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ასტონ ვილა — ლიდსი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ბლექბერნი — ბოლტონი | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| ჩელსი — მიდლსბრო | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლივერპული — ტოტენჰემი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მანჩესტერ სიტი — ქუინზ პარკი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ნიუკასლი — შეფილდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| საუთჰემპტონი — ევერტონი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — ნოტინგემი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უიმბლდონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,0 | 2,7 | 1,7 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა:

ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9, 27 და მეტი — 1,9

თანამეგობრობის ჩემპიონთა თასისა და აფრიკის თასის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

იტალიის მე-20 და ესპანეთის 25-ე ტურების ფსონებს იხილავთ პარასკევის „სარბიელში"

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | | | | 2-0 | | 1-3 | | 1-1 | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-1 | | | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | [illegible] | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | 1-0 | 0-0 | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | | | | 0-0 | | | | | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 0-0 | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | 3-0 | 2-0 | 1-0 | | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | 0-6 | | | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | | 2-3 | | 2-2 | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | | | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | | | 1-1 | | | | 0-4 | | 2-0 | | | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | | | | | 0-1 | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | | | 1-1 | 3-3 | | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | 4-2 | | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | | 1-0 | 3-0 | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | | 2-0 | 0-0 | | 1-1 | | 1-2 | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | | | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | | | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | | | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | | | 2-0 | | | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | 5-0 | | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | | | 0-1 | | 1-1 | | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | | | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | | 3-1 | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | | 2-2 | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 1-1 | 1-3 | | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | [illegible] | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | [illegible] | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | | | | 1-0 | | 2-1 | 1-1 | | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | |


## CLEAR WATER TRAINING TOURS

### საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევი პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

**CLEAR WATER** ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა (მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრობის მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწ[illegible]ფვის.

ცნობებისათვის დარეკეთ:

თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

რვაათასიანები






# ბულის ტრიუმფი და აღსასრული

1957 წელს ყარაყორუმის მთებში მოწყობილი სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციების წევრთაგან თერთმეტი მთამსვლელი დაიღუპა. მათ შორის აღმოჩნდა ნანგა პარბატზე, ამ „სიკვდილის მთაზე“ პირველამსვლელი ავსტრიელი ჰერმან ბული, რომელმაც დაღუპვამდე თანაგუნდელებთან ერთად პირველმა მოახერხა ქედი კიდევ ერთ გოლიათის – ჩამთავა ბროუდ პიკს.

მანამ ავსტრიელთა ამ გამარჯვებაზე და ბულის ტრაგიკულ აღსასრულზე გიამბობდეთ, ბროუდ პიკი გავიცნოთ.

დედამიწის სიმაღლით ეს მეთორმეტე მწვერვალი ჩოგორისაგან სამხრეთ აღმოსავლეთით, ბალტოროს ყინვარის პირდაპირაა აღმართული. მის ვეება ქედზე ამ მწვერვალის სამი თავი აზიდულა. მათ შორის უმაღლესია მთავარი მწვერვალი (8047მ). მთავარ პიკს აქვს წინა მწვერვალიც (8016 მ), რომელსაც საშუალედოსაც უწოდებენ, თუმცა ხშირად ყოველგვარი „წინსა“ და „საშუალედოს“ გარეშეც მოიხსენიებენ და ალბათ სამართლიანადაც, რადგან მასა და მთავარს შორის შემაერთებელი ქედი მკვეთრად ღრმავდება. ჩრდილოეთ ბროუდ პიკის სიმაღლე 8000 მეტრია (ზოგი მონაცემებით 7538 მ).

ბროუდ პიკის მასივი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ღრმად ჩაჭრილი უნაგირათი, რომელიც ვიტორიო სელას სახელს ატარებს. სამხრეთიდანაც, გაშერბრუმის მხრიდან იგი ღრმა, ბროუდის უნაგირათია გამოყოფილი.

ბროუდ პიკის მასივთან მისასვლელი გზები, ისევე როგორც გაშერბრუმთან და ყარაყორუმის სხვა გიგანტებთან, ბალტოროს 65 კილომეტრიან ყინვარზე გადის.

ამ მწვერვალის ადგილობრივი სახელი დღემდე ვერ დაუდგენიათ, თუმცა ზოგიერთი წყაროს მიხედვით მას ფალხან კანგრი ჰქვია. თუ რას ნიშნავს ეს „ფალხან კანგრი“, სამწუხაროდ, ვერ მოგახსენებთ. ბროუდ (ქართულად – განიერი) პიკი კი მას თავისი გარეგნობის გამო უწოდა ამ რაიონში ინგლისელთა 1892 წლის ექსპედიციის მეთაურმა უილიამ მაკ კონვეიმ.

მიუხედავად იმისა, რომ ბროუდ პიკს წინა საუკუნის ბოლოდან იცნობენ და იქიდან მოყოლებული ამ განიერი პიკის მისადგომებთან ასულთ შვიდივე ექსპედიციის წევრები ფირზე მუდამ აღბეჭდავდნენ და მის დასალაშქრავ გზებსაც ზვერავდნენ, ასვლა კი 1954 წლამდე არავის უცდია.

კაცმა რომ თქვას, არც მაშინ აპირებდნენ ბროუდ პიკზე ასვლას, მაგრამ...

ამ წელიწადს დასავლეთგერმანელი კარლ ჰერლიგკოფერი ჩოგორიზე ასვლას აპირებდა.

ეს ის ჰერლიგკოფერია, რომლის ექსპედიციაც წინა წელს მრისხანე ნანგა პარბატს უტევდა. მაშინ ზემოთ ასულ მთამსვლელებს სრულიად მოულოდნელად აუხსნელი ბრძანება მისცა, ქვემოთ დაბრუნდითო, მაგრამ მათ არ დაუჯერეს, გზა გააგრძეს და ურჩთაგან ჰერმან ბულმა მარტომარტომ დალაშქრა მწვერვალი.

ეს ის ჰერლიგკოფერია, რომლის განკარგულებითაც ქვემოთ მომავალ ჯიუტ მთამსვლელებს საშუალედო ბანაკები აუყარეს და ამით სასიკვდილოდ გაიმეტეს ისინი, მერე კი შავ დღეში ჩავარდნილ ნანგა პარბატის გმირს სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინა. არადა, როგორც ექსპედიციის მეთაური და უწინარეს ყოვლისა ექიმი, ვალდებული იყო.

ეს ის ჰერლიგკოფერია, ვისაც არაერთხელ ჰქონდა სასამართლოში საქმე, მათ შორის ბულთან, მოგვიანებით კი რაინჰოლდ მესნერთან დაკავშირებით.

ეს ის ცუდი რეპუტაციის ჰერლიგკოფერია, ვის წინააღმდეგაც მოგვიანებით ცნობილი უცხოელი მთამსვლელები, მათ შორის მორის ერცოგიც გაილაშქრებს და დასავლეთგერმანელ ალპინისტებს მოუწოდებენ მასთან საქმე არ დაიჭირონ.

მაგრამ ეს უკვე მერე იქნება, მაშინ კი ჰერლიგკოფერი უკვე იმ დროს ფიქრობდა ჩოგორიზე. ამიტომ ნანგა პარბატის ექსპედიციის მერე მთელი აღჭურვილობა და ინვენტარი გილგიტში დატოვა, მაგრამ ჩოგორიზე ასვლის დასტური ვერ მიიღო, რადგან ეს უფლება იტალიელებს მოეპოვებინათ, 1955 წლისთვის კი რიგში ამერიკელები იდგნენ. ამიტომ ჰერლიგკოფერს ჰიდენ პიკის ან ბროუდ პიკის არჩევა შესთავაზეს, მანაც პირველი ამჯობინა და ექსპედიციის წევრებსაც უხმო. რა თქმა უნდა, ექსპედიციაში არ იყო ნანგა პარბატის მარტომარტო მძლეველი ჰერმან ბული. არ იყვნენ მასთან ერთად მაშინ გაჯიუტებული სხვა მთამსვლელები. სამაგიეროდ იყვნენ ნანგა პარბატის ექსპედიციის თვითმყოფი წევრები ჰერმან კლენშპერგერი, ჰანს რაინერი, ალბერტ ბიტერლინგერი. მათ გარდა იყვნენ: ჰ. ჰაუზერი, ვ. ვიკი, მაგატი, რ.მარეკი, რ. მესნერი, ე. სენი, მ. ანდერლი და ი. ფიშერი (ექიმი). თითოეული ძლიერი მთამსვლელი გახლდათ და რვაათასიანებზე ასვლა ხელეწიფებოდათ.

ამ ექსპედიციამ მეთაურისა და ფულის მოლოდინში კარგა ხანს იყურყუტა ყარაჩიში და მხოლოდ გვიან შემოდგომით გაუდგა გზას. თავდაპირველად ექსპედიცია ჰიდენ პიკზე სიაჩენის ყინვარის გავლით აპირებდა ასვლას, ეს კი მწვერვალის ძირამდე წარმოუდგენლად გრძელი და რთული გზის გავლას გულისხმობდა. სულ ბოლო მომენტში ექსპედიციას ბედმა გაუღიმა და მას ბალტოროს ყინვარზე უმოკლესი 65 კილომეტრიანი გზით გავლის ნებართვა მისცეს, მაგრამ მთამსვლელებს ბალტელმა მზიდავებმა სისხლი გაუშრეს, რის გამოც ჰერლიგკოფერმა ჰიდენ პიკზე ხელი აიღო და უფრო ახლოს მდებარე ბროუდ პიკისკენ გადაინაცვლა. მათ მწვერვალს ჩვენთვის უკვე ცნობილი კონკორდია პლატციდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეუტიეს. ჰერლიგკოფერი ამტკიცებდა, ეს მარშრუტი საუკეთესოა, „ერთადერთი შესაძლებელიც კი ბროუდ პიკზე ასასვლელად“.

იმ ხანად ბროუდ პიკის საუკეთესო მცოდნე ოსკარ დირენფურტი თავიდანვე სხვა შეხედულებისა იყო, რაკი მისი აზრით მარშრუტი ტექნიკურად ძალიან რთული არ ჩანდა, მაგრამ ზედა ფირნიან ტერასამდე მისასვლელი ზვავებისა და ქვათაცვენის გამო ფრიად სახიფათო იყო.

მართლაც, მეორე ბანაკის სიახლოვეს (6000 მ) ღარის მახლობლად კლდის შვერილზე ანდერლი და მესნერი ღამეს რომ ათევდნენ, ზვავი ჩამოწვა. მისგან წარმოშობილმა ჰაერის ტალღამ ეს მთამსვლელები ლამის თავიანთ კარვიანად მოისროლა. ისინი დილით რომ კარვიდან გამოვიდნენ, სულ რაღაც 50 სანტიმეტრს იქით იხილეს რამდენიმე ტონიანი ყინულის ლოდი, რომელიც ზვავთან ერთად დაცურებულიყო და იქვე გაქვავებულიყო.

მესამე ბანაკისკენ (6500მ) მიმავალი გზა 50 გრადუსიან დახრილობის ყინულოვან კულუარში გადიოდა. აქ მთამსვლელებმა საფეხურები გამოჭრეს და საერთო ჯამში 300 მეტრი თოკი დაკიდეს. ამ ბანაკის ზემოთ, 200 მეტრით მაღლა უშველებელი ტერასა (სიგრძით – რამდენიმე კილომეტრიანი, სიგანით – 500 მეტრამდე) იყო. ტერასას ზემოთ გადიოდა საკმაოდ ციცაბო კლდოვან-ყინულოვანი ქედი, რომელზეც ალაგ-ალაგ რთულად დასაძლევი კლდეები აღმართულიყო. 7200 მეტრიდან ეს ქედი ბროუდ პიკის მთავარ და წინა მწვერვალს შორის არსებულ პლატოზე გადიოდა. ამ მონაკვეთმა მთამსვლელებს დიდი დრო და ენერგია წაართვა. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში, ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ, ჩეხდნენ საფეხურებს, კიდებდნენ თოკის მოაჯირებს და თოკის კიბის გამოყენებამაც კი მოუწიათ. პირველი „ჟანდარმიდან“ ერთ-ერთ მონაკვეთზე სენი პალოს რომ არჭობდა, წონასწორობა დაკარგა და გადმოვარდა. მისმა მეწყვილემ, ანდერი სენს იცავდა დამზღვევი თოკით, რამაც ვერ გაუძლო და გაწყდა. 50 გრადუსიან ყინულოვან ფერდობზე 130 მეტრით ქვემოთ ჩასრიალდა, იქ კი იღბლად დიდი ნაპრალის კიდესთან ღრმა თოვლში შევარდა და პალოსავით ჩაერჭო. იგი დაბეჟილობითა და მსუბუქად ტვინის შერყევით გადარჩა, 2 დღის მერე კი კვლავ იერიშებში ჩაება.

5 ნოემბერს სენი და ანდერსენი მაინც ავიდნენ 7200 მეტრამდე და იმ დღესვე მესამე ბანაკში დაბრუნდნენ. ამ დროს რავალპინდიდან ცნობა მიიღეს, მუსონი ახლოვდებაო, ყინვაც 38 გრადუსამდე დაეცა, მაგრამ 6 ნოემბერს ზემოთ მაინც დაიძრნენ რაინერ კლენშპერგერი და ჰაუზერი.

მათ მოიერიშე წყვილისთვის 7100 მეტრზე კარავი უნდა დაედგათ. ამ სამეულს კვალში მიჰყვა მესნერი და ანდერლიც, რომლებსაც, თავის მხრივ 7500 მეტრზე კიდევ ერთი კარავი უნდა დაედგათ იმ შემთხვევისთვის, თუ მწვერვალიდან დაბრუნებული წყვილი ბოლო საიერიშო ბანაკში ჩამოსვლას ვერ მოასწრებდა.

ამ ორ ჯგუფს 1 საათზე სენი და მაგატი მიჰყვა, რათა უშუალოდ მწვერვალზე ასულიყვნენ. ჰერლიგკოფერს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ისინი მიზანს მიაღწევდნენ, მაგრამ პირველ ჯგუფს ყინულის პალოები შემოაკლდა,რის გამოც პირველი „ჟანდარმიდან“„ ყველა ამოიღეს და თხემის ზედა ნაწილში ჩახრახნეს, თანაც მათ შორის მანძილი ნორმასთან შედარებით გაზარდეს. მიუხედავად ამისა, პალოები მაინც არ ეყოთ და მესამე ბანაკსაც ველარ მიაღწიეს, თანაც ყინვისაგან ფეხები ეყინებოდათ და მგრძნობიარობაც მთლად დაეკარგათ. ამიტომ პირი იბრუნეს და სხვებიც იძულებულნი გახდნენ ისევე მოქცეულიყვნენ.

ასე დასრულდა ბროუდ პიკზე ასვლის პირველი ცდა. იმავე წელს ყარაყორუმის რვაათასიანებიდან პირველად დალაშქრეს მისი უმაღლესი მწვერვალი ჩოგორი. მომდევნო ორი წელს კი ამ რაიონის ბუმბერაზებზე არავინ გამოჩენილა.

და აი, 1957 წელიც დადგა. იმ წელიწადს ჰიმალაის რვაათასიანების მყუდროება არავის დაურღვევია. ეს ძირითადად იმითაც აიხსნება, რომ თოთხმეტ ასეთ გიგანტთაგან ათი დალაშქრული იყო. ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდნენ ავსტრიელები, რომლებმაც ყარაყორუმისკენ გასწიეს და მიზანში ბროუდ პიკი ამოიღეს. ავსტრიელთა გამარჯვებისა თითქმის არავის სჯეროდა. არავის სჯეროდა, რადგან ისინი არც ჟანგბადის ბალონების გამოყენებას აპირებდნენ, არც შერპების დახმარებას, რადგან მათ 1947 წლიდან პაკისტანში შესვლა ეკრძალებოდათ. ამასთან ავსტრელთა ექსპედიცია ძალზე პატარა, სულ ოთხკაციანი იყო, სამგიეროდ, იგი მობილური და ფრიად ძლიერი შემადგენლობის გახლდათ. აქ იყო ნანგა პარბატის გმირი ჰერმან ბული, იყვნენ მეტად ძლიერი მთამსვლელები კურტ დიმბერგერი და ფრიც ვინტერშტელერი, რომლებსაც მარკუს შმუკი მეთაურობდათ.

ამ მთამსვლელებს თავად უნდა ეზიდათ ბარგი, თავადვე მოეწყოთ ბანაკები და მოემარაგებინათ ის საჭურვლითა თუ საკვებით. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საპიბებს მოსიმაღლე მზიდავთა გარეშე უნდა შეესრულებინათ მეტად მძიმე და მომქანცველი სამუშაო, რაც მანამდე ყველას შეუძლებლად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, ამ ოთხეულმა 28 მაისისთვის სამივე სასიმაღლო ბანაკი მოაწყო: პირველი – კონკირდის ყინვარის თავზე (5800მ), მეორე – ფირნის პლატოს განაპირას (6400 მ) და მესამეც – „ყინულის სამრეკლოზე“ (6950 მ.) ისინი მწვერვალისკენ გერმანელებისგან განსხვავებით დასავლეთის ქედიდან მიიწევდნენ, სწორედ იმ ქედიდან, რომელსაც ოსკარ დირენფურტი უწევდა რეკომენდაციას.

როცა მთამსვლელებმა მესამე ბანაკი დადგეს, მეტად დაღლილები იყვნენ, რადგან ყოველდღიურად 25 კილოგრამიან ბარგს ეზიდებოდნენ. ამის მერე, წესით და რიგით, მწვერვალზე გადამწყვეტი იერიშის წინ ქვემოთ სულის მოსათქმელად უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ მუსონის მოლოდინითა და კარგი ამინდის ხელიდან გაშვების შიშით გადაწყვიტეს მეორე დღესვე მოეთავებინათ საქმე.

მართლაც, 29 მაისს, გამთენიისას, 5 საათზე გზას გაუდგნენ.

ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. განსაკუთრებით საშინელი გამოდგა საშუალო და მთავარ მწვერვალებს შორის ბოლო 250 მეტრის გავლა, სადაც დაკბილული მონაკვეთი იყო. იგი მეოთხე კატეგორიის სირთულის კლდოვანი მონაკვეთი აღმოჩნდა. საკმაოდ ციცაბო და თანაც ჩაყინული, სადაც 80 მეტრიანი თოკის დაკიდება მოუხდათ. იმ დაკბილულ ადგილს, 7800 მეტრზე, მხოლოდ 12 საათის სირაულის მერე მიაღწიეს. 18 საათსა და 30 წუთზე წინამავალი ვინტერშტელერ–დიმბერგერის წყვილი წინა მწვერვალთან (8030 მ.) ავიდა. ეს აღმოჩნდა მაქსიმუმი, რაც იმ დღეს შესძლეს. მერე ამინდიც გაფუჭდა - თოვა დაიწყო და ახლომახლო კლდეები შედედებულ რძესავით ნისლში შთაინთქნენ. მეტი რა ჩარა იყო, უკან დაბრუნდნენ და მესამე ბანაკამდე უკვე ღამის 10-ის ნახევარზე დიდი ფათერაკებით ჩააღწიეს, დილით კი საბაზოშიც ჩავიდნენ, რათა დაესვენათ და გამოდარებისთვისაც მოეცადათ.

8 ივნისს მთამსვლელებმა დღის მეორე ნახევარში კვლავ გამოაცოცხლეს მესამე ბანაკი, 9-ში კი შუაღამისას აიშალნენ და 3 საათსა და 30 წუთზე გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. კარგად იცოდნენ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში მესამე ცდისთვის მათ აღარც ძალა შერჩებოდათ და აღარც შესაძლებლობა.

ჭახჭახა ყინვა ყველას კბილებს აკაწკაწებინებდა, მაგრამ უფრო ბულს უჭირდა. ნანგა ბარბატზე მოყინული ფეხის თითები რომ მოკვეთეს, მას მერე მისი ქვედა კიდურები ყინვისადმი მეტად მგრძნობიარენი გამხდარიყვნენ. მიუხედავად ამისა, იგი არაფერს ეპუებოდა და მართალია ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა.

დიდი ჯაფის მერე მოწინავე წყვილი მწვერვალზე ავიდა, მაგრამ უმაღლესი, სამხრეთი პიკი ჯერ კიდევ შორს იყო. ბოლოს მისკენ მიმავალი მთლად დაჩეხილი ქედიც უკან დარჩა. 17 საათისათვის შმუკვინტერშტელერის წყვილი ვეება კარნიზგადმოკიდებული ბროუდის მწვერვალის უმაღლეს წერტილზე იდგნენ.

ჩვეულებრივ სწრაფად მოსიარულე ჰერმან ბულს კი ისევ უჭირდა, რის გამოც 7800 მეტრზე მთელი საათი დაისვენა. მასთან ერთად დიმბერგერმა [illegible] კბილული ადგილიდან [illegible] მეგობრებს ხელ[illegible] გზა ნელა [illegible] ლისთვის იქნებ ველარც მიეღწიათ, არადა დიმბერგერი თავს ბრწყინვალედ გრძნობდა, მაგრამ მეგობარს ვერ ტოვებდა. ამიტომ ბულმა შესთავაზა, მე აქ მოგიცდი, შენ კი მარტო ადი მწვერვალზეო და ისიც „გავარდა“. ნახევარ საათზე ცოტა მეტი დრო მოანდომა მწვერვალის ქედის გავლას და მანაც მიაღწია უმაღლეს პიკს, თანაც იმ დროს, როცა პირველი წყვილი იქიდან დაბრუნებას აპირებდა. დიმბერგერი მწვერვალის კარნიზზე შაკსგამის ყინვარის მხარეს უთოკოდ გავიდა და წრიული პანორამა გადაიღო. ხეობებიდან უკვე ბინდი იპარებოდა და ამიტომ დიმბერგერი მწვერვალზე დიდხანს აღარ დარჩენილა და სწრაფად დაიწყო დაშვება. მოულოდნელად მისკენ შესახვედრად მომავალი ბული დაინახა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიანი იყო, იგი ჩვეული შეუპოვრობით მიიწევდა მისკენ. დიმბერგერიც შეჩერდა და დაელოდა. როცა ერთმანეთს შეხვდნენ, დიმბერგერს ხმა არ ამოუღია, კვლავ მწვერვალისკენ მიბრუნდა და ბულს უხმოდ მიჰყვა. 19 საათზე ორივემ ერთად მიაღწია მწვერვალს.

ჩამავალი მზის სხივებიდან ბროუდ პიკის ჩრდილი აღმოსავლეთით თითქოს ჰორიზონტამდე გაწოლილიყო. მზის სხივები მხოლოდ უმაღლეს პიკთა თავებს ანათებდნენ წითლად და ოქროსფრად. მთამსვლელები მესამე ბანაკში უკვე დაღამებისას ჩავიდნენ.

ამგვარად, კურტ დიმბერგერმა ერთ დღეში ორჯერ შედგა ფეხი ბროუდ პიკის უმაღლეს წერტილზე, ჰერმან ბული გახდა პირველი დასავლეთელი მთამსვლელი, ვინც ორი რვაათასიანიდან გადმოიხედა. (პირველი ასეთი ადამიანი იყო შერპი გიალცენ ნორბუ, ვინც 1955-56 წლებში მაკალუ და ჩო ოიუ დალაშქრა), ხოლო ავსტრიელმა მთამსვლელებმა ბროუდ პიკით მეოთხე რთვაათასიანი ჩაიწერეს აქტივში, ამგვარი მიღწევით კი სხვა ქვეყნის მთამსვლელები თავს ვერ მოიწონებდნენ.

ყველაზე საოცარი და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ოთხმა დასავლეთელმა მთამსვლელმა შერპთა დაუხმარებლად დალაშქრა ასეთი გიგანტური მთა, მაგრამ ექსპედიცია ამით არ დასრულებულა.

საბაზო ბანაკის სიახლოვეს, სკილ ბრუმს (7360 მ) შმუკმა და ვინტერშტეერმა შეუტიეს და მასზე პირველამსვლელებიც აღმოჩნდნენ.

ბული და დიმბერგერი ბროუდ პიკის დალაშქვრიდან მეთვრამეტე დღეს ჩოგოლიზასკენ (7654 მ) გაემართნენ.

ოსკარ დირენფურტის სიტყვებით „ჩოგოლიზა ზღაპრული სილამაზის მწვერვალია. კლასიკური სილამაზე, მოხაზულობის ხიმშვიდე და გიგანტური რელიეფური ფირნის კედლები მას ყინულის მთის იდეალად წარმოგვიდგენს“.

მისკენ მიმავალი მარშრუტი ჯერ კიდევ აბრუციის ჰერცოგის ექსპედიციის დროიდანაა (1909წ) ცნობილი. ამინდს რომ გაემართლებინა, ისინი ალბათ, მასზე პირველამსვლელებიც გახდებოდნენ.

ბულმა და დიმბერგერმა 27-ში დილაუთენია გადამწყვეტი იერიში დაიწყეს. ბული ამჯერად თავს ბრწყინვალედ გრძნობდა და გზას პირველი მიიკვლევდა. 9 საათზე უკვე წინა მწვერვალზე (7150 მ) იყვნენ. მერე უნაგირაზე (7010 მ) დაეშვნენ. ამინდი დიდებული იყო და მწვერვალამდე სავალი რთული არ ჩანდა. ბულის სურვილით უთოკოდ მიდიოდნენ და დაახლოებით 7300 მეტრამდე რომ ავიდნენ, მოულოდნელად ძლიერი ქარი ამოვარდა, მან ღრუბლებიც მორეკა და თოვაც დაიწყო. არემარე სქელ ნისლში ჩაიძირა. წინსვლა მეტად სახიფათო ჩანდა და ბულის რჩევით უკან მობრუნდნენ. ამის მერე წინამავალი დიმბერგერი აღმოჩნდა. მას ბული ათიოდე მეტრში უთოკოდ მიჰყვებოდა. ისინი თავიანთ ნაკვალევს ველარ ხედავდნენ. მოულოდნელად დიმბერგერმა ზურგს უკან ჭახანის ხმა გაიგონა და მის ფეხქვეშ მთა იძრა. იგი ინსტიქტურად მარჯვნივ გადახტა, უკან რომ მოიხედა მეგობარი ვერსად დაინახა.

– ჰერმან! – იყვირა დიმბერგერმა, მაგრამ ნისლიდან ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა.

მერე, რამდენიმე წამით ნისლი გაიფანტა და დიმბერგერმა ბულის ნაკვალევი დაინახა. კვალი დიმბერგერის ნაფეხურებისაგან მარცხნივ წასულიყო და კარნიზის კიდეზე წყდებოდა. კარნიზს იქით 300 მეტრიანი უფსკრული იყო, ქვემოთ თოვლის უზარმაზარი მასა და ყინულის გროვა ეყარა. აშკარა იყო, ბული კარნიზზე გავიდა, რამაც სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაინგრა.

ჩვენი დროის უდიდესი და უმამაცესი მთამსვლელი, ნანგა პარბატის გმირი ახლაც იქ განისვენებს.

ავთანდილ გურასაშვილი

# მკვდრეთით აღმდგართა ტრიუმფი

გამეორდა 1991 წლის ამბავი, სპარსეთის ყურის ომი ახალი დაწყებული რომ იყო: მელბურნის „ფლინდერს პარკში" ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ისევ მონიკა სელეშმა და ბორის ბეკერმა გაიმარჯვეს. მონიკამ ავსტრალიური ტიტული მეოთხედ მოიპოვა, დიდი სლემის ტურნირებში კი მეცხრედ გაიმარჯვა. ბეკერს ხუთი წელია, ვეღარსად მოეგო; ერთი პირობა კიდეც ჩამოწერეს, მაგრამ ბარბარა ფელტუსის ცოლად მოყვანა ერთობ მოუხდა და აი, დიდი სლემის მეექვსე ტიტულიც მოაგებინა 28 წლისას, თუმც კი მისი მიღწევა ახლოსაც ვერ მივა 22 წლის სელეშის ვაჟკაცობასთან — იგი ხომ ამ სამი წლის წინ შტეფი გრაფის გიჟმა ქომაგმა კორტზევე დაჭრა დანით და დიდი ხნით ჩამოაშორა სარბიელს. ერთი სიტყვით, წელს მელბურნში ფაქტობრივად მკვდრეთით აღმდგარმა ხალხმა გაიმარჯვა.

წინა „სარბიელში" სელეშ — რუბინის ნახევარფინალის თხრობა იმით შევწყვიტეთ, მესამე ხელში რომ გაწვიმდა და სტადიონის გადახურვას ნახევარი საათი დასჭირდა. თამაში ჭერქვეშ რომ განახლდა, 19 წლის ამერიკელმა ჩანგმა გოგომ, თარს მე-13 ნომრად რომ იყო განთესილი, წალმა და პაერიდან დარტყმებით ისევ შეავიწროვა მონიკა და 5:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე სელეშმა ორი ბრეიქი გააზერხა და ანგარიში გაათანაბრა. მე-11 გეიმში რუბინი 40:0 გაიჭრა წინ, მაგრამ მონიკამ საბოლოოდ მაინც იმარჯვა 6:7 (2:7), 6:1, 7:5. მეორე ნახევარფინალში 21 წლის გერმანელმა ანკე ჰუბერმა (8) და სამხრეთაფრიკელმა ამანდა კეტცერმა (16) უკანა ხაზიდან გაჩაღეს ძალისმიერი თამაში. ტანჩია აფრიკელმა პირველ ხელში ბრეიქი იწვნია, მაგრამ მაინც მოიგო, მერე კი ველარ გაუმკლავდა ჰუბერს, ვინაც 4:6, 6:4, 6:2 გაიმარჯვა და კარიერაში პირველად გავიდა დიდი სლემის შეჯიბრების ფინალში. ყოველივე ეს ხუთშაბათს მოხდა.

**პარასკევი**, 26 იანვარი ავსტრალიის ეროვნული დღესასწაული იყო, მაგრამ ბეკერს არ დაუნდია განუთესელი მასპინძელი, 30 წლის ცაცია მარკ ვუდფორდი და 98 წუთში 6:4, 6:2, 6:0 დაანგრია. ეს თამაში მეორე ნახევარფინალი იყო. პირველში შეიბნენ ამერიკელები: შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი (2) და მაიკლ ჩანგი (5). ქროდა ქარი. აგასი სამპრასის მარცხის წყალობით თუმც კვლავ პირველი ჩოგანი გახდა, მაგრამ შარშანდელ გრაფიკს აშკარად ჩამორჩა: ნახევარფინალამდე მიღწევას 7 ხელით მეტი მოანდომა და მასშიც ერთობ უფერულად ითამაშა. ჩანგმა დიდი სლემის ტურნირებში პირველად აჯობა ანდრეს 6:1, 6:4, 7:6 და მუსამედ გავიდა ფინალში.



ბარბარა ფელტუსი

**შაბათი** ქალთა ფინალის დღე იყო. სელეშმა 6:4, 6:1 კი დაამარცხა ჰუბერი, მაგრამ თამაში ერთობ საინტერესო გამოვიდა. პირველი ხელის მეხუთე თამაშში ჰუბერმა მეტოქის მოწოდება მოიგო. მეექვსე გეიმში 24 ქულა გათამაშდა. ხანგრძლივი ბათქა-ბუთქის შემდეგ გერმანელმა ბურთი მოედანს ააცილა. ანგარიში გათანაბრდა. მერე მონიკამ ერთი ბრეიქიც გააზერხა და ხელი 53 წუთში ჩაამთავრა, მეორე პარტიაში კი აშკარად დაჯაბნა მეტოქე.

ფინალის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე სელეში თავიდან მხიარულად იყო, ისიც შენიშნა, კარგი იქნებოდა, შტეფი გრაფსაც რომ ეასპარეზაო, მაგრამ მავანმა ჟურნალისტმა რომ ჰკითხა, გერმანიაში კიდევ თუ ჩახვალ სათამაშოდო, მონიკამ აურია — ისტერიკა დაემართა. პრეს-კონფერენცია სასწრაფოდ დაამთავრეს.

ამრიგად, სელეში ავსტრალიის მიწა-წყალზე კვლავაც დაუმარცხებელია. რაც შეეხება გრაფს, მას გაუგრძელდა ნაოპერაციები ფეხის მოშუშება, რის გამოც ეს კვირაც გაუცდება — ვერ ასპარეზობს ზღვისრეთის პირველობაზე, ტოკიოში რომ იმართება.

შაბათსვე გაიმართა წყვილთა ფინალები. სამშაბათს ჩანდა რუბინმა (აშშ) და არანჩა სანჩეს-ვიკარიომ (ესპანეთი) სამსაათნახევრიანი მეოთხედფინალი გამართეს, ამჯერად კი ერთად აჯობეს ამერიკელებს — მერიჯო ფერნანდესს და ლინდზი დავენპორტს 7:5, 2:6, 6: . ვაჟთა შეჯიბრში შტეფან ედბერგმა (შვედეთი) და პეტერ კორდამ (ჩეხეთი) 7:5, 7:5, 4:6, 6:1 დაამარცხეს სებასტიენ ლერუ (კანადა) — ალექს ობრაიენის (აშშ) წყვილი. 30 წლის ედბერგმა მელბურნში უკანასკნელად ითამაშა.

**კვირას** იყო ვაჟთა ფინალი და სკანდალი: მავანმა ინგლისურმა გაზეთმა დაწერა, შარშანდელ საფრანგეთის ღია პირველობაზე დოპინგ-ტესტი ჩაფლავებიათ მატს ვილანდერს (შვედეთი) და კარელ ნოვაჩეკს (ჩეხეთი), ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (იტფ) კი, ვისაც ერთობ მოაქვს თავი თამაშის სიწმინდით, ცდომილებს ხელს აფარებსო. იტფ-ს გაზეთისთვის არაფერი უპასუხნია, ვილანდერსა და ნოვაჩეკს კი თურმე კოკაინის ხმარება დაუდგინეს.

საკუთრივ კორტზე მამაცი და მორწმუნე ჩანგი ერთობ გაუძალიანდა ფავორიტად შერაცხულ გერმანელს. ბეკერს წინა შეხვედრებივით მძიმე-მძიმედ აღარ დაუწყია: ძლიერად აწვდიდა ბურთს, ფიცხელ უბრუნებდა მეტოქეს და ბადესთანაც თამამად გადიოდა. ბორისი 4:0 დაწინაურდა და პირველი ხელიც იოლად მოიგო, მაგრამ მეორეში ჩანგმა რამდენჯერმე მოატყუა, თუმც ერთ მომენტში მეტოქის წალმა დარტყმას ბეკერმაც ამავენაირად უპასუხა, რამაც გადაწყვიტა კიდეც ხელის ბედი. მესამე ხელში ბორისი ამჩატდა და წააგო, მეოთხეში კი ხაზის მსაჯები რომ შეცდნენ, მსაჯული ჩაერია და ბეკერის სასარგებლოდ განსაჯა, რამაც ბორისს ბრეიქი გააზერხებინა. „ბუმ-ბუმ" ბორის ბეკერმა, იგივე „ლემენელმა ლომმა" ბუმერანგის ქვეყანაში 6:2, 6:4, 2:6, 6:2 მოიგო ფინალი და ჯილდოდ 562 ათასი იქაური დოლარიც მიითვალა.

ირაკლი ნინუა



## ორი რეკორდიც

ეთიოპმა სტაიერმა ჰაილე გაბრესილასემ შარშან ორი მსოფლიო რეკორდი კი დაამყარა, მაგრამ ლეგენდარული ჯესი ოუენსის პრემია მაინც ამერიკელ სპრინტერ მაიკ ჯონსონს (**ფოტოზე**) მიენიჭა, ვინაც 400 მეტრზე 1988 წლიდან არ დამარცხებულა, შარშან კი მსოფლიო ჩემპიონატზე უმაგალითო დუბლი გააზერხა — 200 მეტრზეც ყველას აჯობა და 400-ზეც.

გაბრესილასემ კვირას ზინდელფინგენში (გერმანია) 10 წამით გააუმჯობესა 5000 მეტრზე რბენის ჭერქვეშა რეკორდი, 15 წლის წინ რომ იყო დამყარებული. ახალი მიღწევაა 13.10,98. იმავე დღეს ბრიტანელმა ლინფორდ ქრისთიმ პერთში ზურგქარში ზუსტად 10 წამში გაირბინა 100 მეტრი, ქოლინ ჯექსონმა 110 მეტრზე თარჯრბენს 13,14 წამი მოანდომა, ავსტრალიელმა ქალმა ემა ჯორჯმა კი მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში — 441 სანტიმეტრი. ჭოკი ქალებისთვის ახალი სახეობაა, ამიტომ შარშან რეკორდი 17-ჯერ (!) გაუმჯობესდა.

## ფედერაციის დილემა

საქმე სასამართლომდე მივა. პარასკევს კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) პრეზიდენტმა რობერტ ლიიმ გამოაცხადა, რომ ფრანსუა ბოთას (**ფოტოზე მარცხნივ**) მეორე სინჯიც დადებითი გამომდგარა.

სამხრეთაფრიკელმა ხვადაგმა შარშან, 9 დეკემბერს, შტუტგარტში ქულებით, მაგრამ ერთხმად აჯობა გერმანელთა კერპ აქსელ შულცს (**მარჯვნივ**), მაგრამ კელნის ცნობილ ლაბორატორიაში გაანალიზებულმა პირველმავე სინჯმა ბოთას სტეროიდ ნანდროლონის ხმარება დაუდგინა. ეჭვი რომ გაეფანტათ, მეორე სინჯი ლოს-ანჯელესს გააგზავნეს, მაგრამ იქიდანაც იგივე დასკვნა მიიღეს.

პრეზიდენტ ლიის თქმით, იბფ ორი კვირის თავზე შეიკრიბება და განაჩენს გამოაქვეყნებს. ვითარება ერთობ აწეწილ-დაწეწილია. თუ ბოთას ტიტულს ჩამოართმევენ ანაც დისკვალიფიკაციას მისცემენ, იგი უეჭველად სასამართლოში იჩივლებს, მისი მფარველები კი იმის მტკიცებას მოჰყვებიან, რომ მათ შეგირდს კონკურენტებმა მოუწყვეს შანტაჟი.

მედია ვარაუდობს, რომ იბფ კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებს და ბოთასა და შულცს ხელახლა აკრივებს.

ვალერი ჯიქია





## «მეჯიქს» კვლავ დაბრუნება სურს

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" აუფორიაქებია კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) შტაბ-ბინა, „მეჯიქ" ჯონსონი სასწრაფოდ შეიტანეთ ჩვენს განაცხადში, რაკილა არ გვეშვება და იქადნება, უნდა შევერკინო მაიკლ ჯორდანს, მისი „ჩიკაგო ბულზი" პარასკევს რომ გვეწვევაო.

„მეჯიქი" 36 წლისაა. მან „ლეიკერსს" ხუთჯერ მოუპოვა მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტული, 1991 წელს კი თამაშს თავი მიანება, ვინაიდან შიდსის გამომწვევი ვირუსითაა დასნებოვნებული.

ჯონსონს აქამდეც რამდენჯერმე უცდია სარბიელზე დაბრუნება, მაგრამ მის განზრახვას წინ აღდგომიან სხვა მოთამაშეები, რომლებიც „მეჯიქს" ისე გაურბიან, როგორც კეთროვანს. არადა, ჯონსონი „ლეიკერსის" ერთ-ერთი მეპატრონეა.

**ათენის** „პანათინაიკოსს" დიდი ჯარიმა და დარბაზის დახურვა ემუქრება. ამ კლუბის გიჟმაჟმა ქომაგებმა თავისი არ დაიშალეს და ხუთშაბათს ხურდა ფული დააწვიმეს მათთან ევროპის საკლუბო პირველობის მატჩის სათამაშოდ ჩასულ საფრანგეთის „ორტეზს". თამაში სამი წუთით შეფერხდა, სტუმართა პრეზიდენტი კი დაშავდა. არადა, „პანათინაიკოსს" შარშან ნოემბერში უკვე მიეღო პირობითი დისკვალიფიკაცია, ვინაიდან მისი ქომაგები ამავე ყაიდაზე გაუმასპინძლდნენ მადრიდის „რეალს".

## აქეთური, იქითური

**გოლფის** ევროპული ტურის დაწესებიდან 25 წელი შესრულდა. წლევანდელი ოქტომბრის ბოლომდე გასტანს და 17 ქვეყანაში გასამართ 31 შეჯიბრს დაიტევს. პირველი მათგანი ევროპიდან ერთობ შორს — სინგაპურში დასრულდა კვირას. მონაწილეობდნენ მსოფლიო გოლფის ნაღები: ნორმანი (ავსტრალია), კაპლზი (აშშ), ლანგერი (გერმანია), ელსი (სამხრეთი აფრიკა). ლიდერი ყოველი წრის მერე იცვლებოდა. ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვა უელსელმა იენ ვუზნემმა, ვინაც დამატებითი პლეი-ოფის მესამე ორმოსკენ 25 ფუტიდან ზუსტად გაგორა ბურთი და აჯობა შოტლანდიელ ენდრიუ კულტჰარდს.

**კვირას** ამერიკული ბურთაობის უმთავრესი ჯილდო — „სუპერბოული", რომელიც წელს 30-ედ გათამაშდა, მოიგო ეროვნული კონფერენციის რჩეულმა „დალას კავბოიზმა", რომელმაც 27:17 (10:0, 13:7, 20:7) დაამარცხა ამერიკის კონფერენციის ჩემპიონი „პიტსბურგ სტილერზი".

**სოფიაში**, ფიგურული ციგურაობის ევროპის პირველობაზე 16 წლის რუსმა გოგომ ირინა სლუცკაიამ აჯობა გამოჩენილ ფრანგ ზანგ სურია ბონალის, ვინაც მეექვსე ევროპულ ტიტულს უმიზნებდა.

**რუსებს** თითოეულ მათგანს, ვინაც კი ატლანტაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდება, ჯილდოდ 100 ათას ამერიკულ დოლარს ჰპირდებიან.

## მამები გაყრიან

გუშინ და დღეს ლონდონის [illegible] „ისთ-ინდია-ქლაბში" [illegible] მსოფლიო რაგბის მამები: საერთაშორისო საბჭო იხილავს უამრავ საჭირბოროტო საკითხს, რომელთაგან უმთავრესი თამაშის „ღიად" გამოცხადების შემდგომი კანონმდებლობის დახვეწაა. ინგლისში ერთობ მწვავედ განუცდიათ მოყვარულობის გაუქმება. ამ ქვეყნის რაგბის კავშირის წევრი 2000 კლუბიდან 30-40 თუ გაპროფესიულდება, დანარჩენები კი კვლავაც სამოყვარულოებად დარჩებიან. მოდა, ამ ორი კვირის წინ უმრავლესობას დიდი ამბოხი მოუწყვია, მედიას კი ისე გაუბუქავს ეს ამბავი, რომ ჭორიც დარხეულა, ინგლისი ირბ-ს გამოეყოფაო.

ვითარება განმარტა ირბ-ის უცლსელმა მდივანმა ქის როულენდზმა, ვინაც რვა წელი იმსახურა ამ პასუხსაგებ პოსტზე და ხვალიდან გადადგება. მან მედიის გასაგონად თქვა, შარშან ირბ-მა რაგბი გამოაცხადა „ღია" თამაშად, რაც ნიშნავს იმას, რომ მის მონაწილეებს შეუძლიათ გასამრჯელოს მიღება, თორემ პროფესიონალობა არავისთვის დაგვიძალებიაო. ისე კი, ირბ-ის 70 ქვეყნიდან 12-14 თუ შეძლებს მოთამაშეთათვის ფულის ძლევას, დანარჩენებში კი მოთამაშეები იხდიან ფულს სათამაშო პირობების შესაქმნელადო.

მოსალოდნელია წესების შეცვლაც. საბჭოს მიუღია 37 წინადადება. მათგან უმთავრესია ზელანდიელთა მოთხოვნა, შერკინებისას რვავე მოთამაშე ბოლომდე შეკავშირებული რჩებოდესო. წესები წელსა და გაისად შეიცვლება, მერე კი 1999 წლის მსოფლიო თასის ბოლომდე მორატორიუმი გამოცხადდება.

## აზიური არაკაცობა

კვირას ბარსელონაში სკანდალურად დასრულდა ბალახის ჰოკეის ვაჟთა გუნდების ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი შეჯიბრება. ბოლო, მეშვიდე ტურის წინ ატლანტაში მოხვედრა გაენაღდებინათ ინდოეთს (10 ქულა), ესპანეთსა და ჰოლანდიას (9-9) და ბრიტანეთს (8). მალაიზია (6) ორი ქულით უსწრებდა კანადას, ვინაც ბოლო ტურში მაჩანჩალა ბელარუსს უნდა შეხვედროდა. სამაგიეროდ, მალაიზიას ინდოეთთან უწევდა თამაში. აზიელები უნამუსოდ მოიქცნენ — ფრე 0:0 გააგორეს. მოასპარეზეები არათუ დარტყმის რკალში არ შედიოდნენ, მეტოქის მეოთხედებსაც ახლოს არ გაჰკარებიან. ამით გაგულისებულმა კანადამ იჩივლა, ბელარუსს კი 7:1 მოუგო, რითაც მალაიზიას ბურთების სხვაობით აჯობა, მაგრამ ერთი ქულით ჩამორჩა. საერთაშორისო ფედერაციამ (იჰფ) ბარსელონაშივე მოაწყო ატლანტის შეჯიბრების წილისყრა. „ა" ჯგუფში მოხვდნენ გერმანია (ოლიმპიური ჩემპიონი), პაკისტანი (მსოფლიო ჩემპიონი), ინდოეთი, ესპანეთი, არგენტინა და აშშ, ხოლო „ბ" ჯგუფში — ავსტრალია, ჰოლანდია, ბრიტანეთი, სამხრეთი აფრიკა, სამხრეთი კორეა და მალაიზია.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.